ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა გობეჯიშვილი

მემარცხენეობის ასახვის სპეციფიკა ქართულ ონლაინმედიაში

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარი
წერეთელი
ასოცირებული
პროფესორი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში - ,,მემარცხენეობის ასახვის სპეციფიკა ქართულ ონლაინმედიაში“ ასახულია, თუ როგორ აშუქებს ქართული ონლაინმედია მემარცხენე იდეოლოგიისადმი დაკავშირებულ საკითხებს. აქცენტები დასმულია ისეთ თემებზე, რომლებიც ასახავს მემარცხენე ფრთის ბრძოლებს სოციალური სამართლიანობის მისაღწევად: ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი; შრომითი უფლებები; ჩაგრული, მარგინალიზებული ჯგუფები და მათი პრობლემები - ქალები, მუშები, ცხოველები, სოციალურად დაუცველები, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით უმცირესობები და სხვა. აღსანიშნავია, რომ საკვლევი თემა ამ კუთხით არ არის შესწავლილი.

ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ, თუ როგორ აშუქებს ქართული ონლაინმედია აღნიშნულ საკითხებს და რამდენად იყენებს მემარცხენე იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი თემების გაშუქებისას მემარცხენე ჭრილში კრიტიკის პოტენციალს - ემსახურება თუ არა საკვლევი მედიაგამოცემები თავიანთი მედიაპროდუქტებით ზემოხსენებული იდეოლოგიის ძირითადი პრინციპის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის, მიღწევას.

ნაშრომში გამოყენებული რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - კონტენტ-ანალიზი, ხოლო თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულია ფრეიმინგის თეორია. დაკვირვების მეთოდი განხორციელდა სამ ონლაინ-გამოცემაზე: “ლიბერალზე” - liberali.ge, “ტაბულასა” - tabula.ge და “ნეტგაზეთზე” “netgazeti.ge. შესწავლილია, როგორც ახალი ამბების, ასევე, სტატიების, ბლოგების/თვალსაზრისისა და ინტერვიუს კატეგორიები.

საკვლევი პერიოდი 6 თვეს მოიცავს - აღებულია პერიოდი - 2018 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საკვლევი გამოცემის შესწავლის

შედეგად, მიღებულ იქნა პასუხი კვლევით კითხვებზე.
სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენლია კვლევის შედეგები, რაც ადასტურებს წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ორივე ჰიპოთეზის მართებულობას: პირველი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული ონლაინმედიის პუბლიკაციებში ნაკლებად არის დასმული მემარცხენე აქცენტები; მეორე ჰიპოთეზის მიხედვით კი, იდეოლოგიურ სპექტრზე კონკეტულ ადგილას განლაგების მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში, ონლაინგამოცემების სარედაქციო პოლიტიკაში იკვეთება მემარცხენე, მემარჯვენე ან ცენტრისტული ფრთის პოზიციონირება.

ABSTRACT

Specifics of Representation of Leftism in Georgian online Media

Author: Nana Gobejishvili

In the following Master's work - "Specifics of Representation of Leftism in Georgian online Media" is represented how Georgian online media announces issues that are related to the Left Ideology. The emphasis are put on such issues, which represent the struggles of the left wing to achieve social justice: difficult social situation in the country, labour rights, oppressed, marginalized groups and their problems - women, workers, socially vulnerable, minorities and others, according to different characteristics. It is worthy to mention, that this research topic is not studied in this regard.

The goal of the thesis is to present how Georgian online media announces these specific issues and how it uses potential of critics in context of the left ideology while announcing those issues that are related to the left ideology - do those media editions with their media

products work for the main principle of the above mentioned ideology, social justice and equality.

The paper uses quantitative research method - content analysis, as for the theoretical framework, framing theory was selected. The observations were made in three online editions: "Liberali" - liberali.ge, "Tabula" - tabula.ge and "Netgazeti" - netgazeti.ge. Categories of news have been studied as well as articles, blogs/opinions and interviews. The period of study includes 6 months - from July 1, 2018 to December 31, 2018. As a result of studying those online media platforms, conclusions were made.

The master's thesis is presented by the results of the survey, which confirms that both of those hypotheses were true: According to the first hypothesis, left-leaning accents are less emphasized in Georgian online media publications; the second hypothesis, based on the position in the ideological spectrum, in separate cases, the editorial policy of Georgian online media editions are characterized by the left, right or centrist wing.

შინაარსი

აბსტრაქტი ----------2

შესავალი ----------6

თავი 1.ლიტერატურის მიმოხილვა
§ 1.1. ტერმინოლოგიური განმარტებები ----------10

§ 1.2. მემარცხენე იდეოლოგიის ისტორია საქართველოში ----------16

§ 1.3. მემარცხენე იდეოლოგიური დისკურსი საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენათა ჭრილში ----------19

§ 1.4. კვლევის მეთოდოლოგია -----------29

§ 1.5. კვლევის დიზაინი ---------- 33

თავი 2. კვლევის შედეგები
§ 2.1. „ლიბერალი“ – liberali.ge ----------
35

§ 2. 2. „ტაბულა“ – tabula.ge ----------51

2.3. „ნეტგაზეთი“ – netgazeti.ge ---------- 59

დასკვნა ---------- 71

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ---------- 76

შესავალი

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კრახის შემდეგ, მემარცხენე იდეოლოგია სტიგმატიზდა. უარყოფითმა გამოცდილებამ, რომელიც საბჭოთა სივრცეებს მემკვიდრეობად ერგო, საზოგადოება აიძულა, ნებისმიერი მოწოდება, რომელიც მემარცხენე ფლანგს განეკუთვნებოდა და ნებისმიერი პირი, რომელიც თავს მემარცხენედ აიდენტიფიცირებდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსგავს ძალასთან გაეიგივებინა. მემარცხენე იდეოლოგიის მქონე პოლიტიკის არასწორმა აღქმამ და ტერმინების საბჭოთა კომუნიზმთან ასოცირებამ, მემარცხენე ძალების დომინაციის პოტენციალი მნიშვნელოვნად დაასუსტა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონი, სოციალურად დაუცველთა სიმრავლე, უმუშევრობა, შრომითი რეგულაციების არარსებობა, პრივილეგირებულთა აღზევება და ჩაგრული ჯგუფების კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩენა, ერთი შეხედვით, ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ძალებს შორის არსებობდეს მემარცხენე იდეოლოგიის გამომხატველი თანამედროვე პარტია, რომელიც იბრძვის თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობისთვის, თუმცა, ზემოხსენებული მიზეზის გამო, ეს არ ხერხდება.

მომდევნო ხელისშემშლელ ფაქტორად შესაძლოა, მივიჩნით 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, რაც, არაერთი მკვლევრის აზრით, მნიშვნელოვნად განპირობებული იყო სოციალ-დემოკრატების, მემარცხენე იდეოლოგიის მქონე ძალის, შეცდომების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ მემარცხენეობა, როგორც სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის მებრძოლი ფრთა, რომელიც სოლიდარობით გამოირჩევა, აქტუალური განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც საქმე ჩაგრულ ჯგუფებს ეხება. არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური დაჯგუფებები თუ ენთუზიაზმზე დაფუძნებული სოციალური ჯგუფები, რომელთა იდეოლოგიაც მემარცხენე ელემენტებს მოიცავს, აქტიურდება და ცდილობს, დღის წესრიგში დააყენოს ისეთი ჯგუფების უფლებების დაცვის აუცილებლობა, როგორებიცაა: ქალების, მუშების, ლტოლვილების, სოციალურად დაუცველი პირების, ქვიარ თემის, რელიგიური, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ჩაგრული ჯგუფების უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დეკადებში საქართველოში ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მოწყვლადი ჯგუფების უფლებები სრულყოფილად მაინც არ არის დაცული.

2019 წლის საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში საქართველოში ადამიანების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ვკითხულობთ, რომ თანასწორობის უფლების დაცვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება: "სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, დისკრიმინაციას იწვევს დაუცველი ჯგუფების შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და არასწორი აღქმები, თუმცა, მათ დასაძლევად, სახელმწიფოს მხრიდან, სათანადო ღონისძიებები ნაკლებად ტარდება," - ნათქვამია ანგარიშში.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს 2014 წელს მიღებული ასოცირების ხელშეკრულებაც,

რომელიც ქვეყანას ავალდებულებს, რომ მედიასივრცე თავისუფალი, დამოუკიდებელი, პლურალისტული და გავლენებასგან დაცლილი იყოს. მსგავს მედიაგარემოში მედია ახალისებს მოქალაქეებს, იყვნენ ქვეყნის დღის წესრიგის განმსაზღვრელი ერთგვარი პოლიტიკური აქტორები და განაგრძონ ამ პროცესების კვლავწარმოება. ცხადია, პროცესებში ჩართულობა საზოგადოების მხრიდან განსაზღვრავს, თუ რა ტრაექტორიით წარიმართება ქვეყნის განვითარება.

აქვე აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიც, რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას და რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, მედია მეტად დამოუკიდებელი და პლურალისტული ხდება.

მედიის თავისუფლების ნიშნულის მიხედვით, საქართველო 180 ქვეყანას შორის მე-60 ადგილს იკავებს (Reporters Without Borders, 2019). საქართველოს მედიაგარემო მოხსენიებულია როგორც პლურალისტური, თუმცა, არადამოუკიდებელი, პოლარიზებული მედიასივრცე, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ საქართველოში არსებული მედიაარხები არ არის სრულად თავისუფალი. თუ ამავე მდგომარეობას ონლაინმედიაზე განვაზოგადებთ, ყურადსაღები გახდება იდეოლოგიური მიკუთვნებულობის საკითხი და გაჩნდება კითხვებიც: რამდენად ისახება კონკრეტული იდეოლოგია ქართული ონლაინგამოცემების მედიაპროდუქტში და ხომ არ არის ეს მიკუთვნებულობა ის მთავარი ხაზი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გაშუქებას გასდევს ლაიტმოტივად? ონლაინმედიის მოხმარების მზარდი ტენდენციის დამკვიდრებასთან ერთად, იზრდება პასუხისმგებლობაც, რომელიც ონლაინმედია პლატფორმებს ეკისრებათ. მედიაგამოცემები პასუხისმგებლები არიან იმ მედიაკონტენტზე, რომელსაც მომხმარებელს აწვდიან.

ამ და სხვა საკითხების განხილვისას, იკვეთება იდეოლოგიური მიკუთვნებულობის

ასახვის აქტუალობა ონლაინმედიაში - მნიშვნელოვანია, პოლიტიკური სპექტრის რომელ მხარეს იკავებს მედია და რომელი ფრთას უჭერს მხარს ინფორმაციის გაშუქებისას. მედია, როგორც "მოდარაჯე ძაღლი", რომელიც მედიატორის როლს ასრულებს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, ასევე აკავშირებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოების სხვადასხვა ნიშნით განსხვავებულ ჯგუფს შორის.

ვფიქრობთ, თემა აქტუალურია, რადგან, პირველ ყოვლისა, პრეცედენტულია თემის სიახლის გამო: მსგავსი ტიპის კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით არ ჩატარებულა. გარდა ამისა, მემარცხენე იდეოლოგიას, რომელიც ჩაგრული ხალხისა და დაბალი სოციალური ფენის ქომაგად მიიჩნევა, საკმაოდ დიდი ისტორია აქვს საქართველოში, ხოლო ამჟამად, ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, იკვეთება მემარცხენე იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი თემების რელევანტურობაც: გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ ჩატარებული ბოლო, 2018 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევიდან (https://uni.cf/2XQW9eI) ვიგებთ, რომ „საქართველოში, ზოგადი სიღარიბის დონე გაიზარდა. თუ 2015 წელს ეს მაჩვენებელი შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 16.4%-ს შეადგენდა, 2017 წელს ის 19.6%-მდე გაიზარდა".

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია ქართული ონლაინმედიის მემარცხენე იდეოლოგიური დისკურსისა და მისთვის მახასიათებელი ელემენტების სპეციფიკა კონკრეტული ონლაინპლატფორმების მოკვლევისა და ანალიზის საფუძველზე.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

§ 1.1. ტერმინოლოგიური განმარტება

• იდეოლოგია

იდეოლოგიური მიკუთვნებულობისათვის დამახასიათებელი იარლიყები, როგორებიცაა მემარცხენე და მემარჯვენე, კულტურებისგან წარმოიშობა (Barnes, 1971) და დამოკიდებულია კონკრეტული პოლიტიკური პარტიის პოლიტიკასა და ელიტაზე. ფრეირი (Freire, 2008) აცხადებს, რომ მემარცხენე-მემარჯვენე ორიენტაცია

მნიშვნელოვნად განპირობებულია პოლიტიკური პარტიების ქცევის მიერ. ამ მექანიზმის შესახებ კი უფრო დაწვრილებით კნუტსენი და კუმლინი (Knutsen და Kumlin, 2005) საუბრობენ: რაც უფრო უკიდურეს წერტილშია განლაგებული პოლიტიკური მიკუთვნებულობა იდეოლოგიურ სპექტრზე, მით უფრო მეტად უნდა მივიჩნიოთ ეს იარლიყები კულტურიდან, საზოგადოებიდან, კონკრეტული პოლიტიკური პარტიების პოლიტიკასა და ელიტისაგან განპირობებულად (Barnes, 1971).

იდეოლოგიური გაუცხოება და გამიჯვნა პოლიტიკურ პარტიებთან, მხოლოდ მათი იდეოლოგიურ ფრთასთან მიკუთვნებულობის გამო, აზიანებს საზოგადოების აღქმას იმის გასააზრებლად, თუ რა არის მემარცხენეობა ან მემარჯვენეობა. თუ პოლიტიკური ელიტები თავიანთ პოლიტიკას სწორედ ამ იარლიყების ქვეშ (მემარცხენე-მემარჯვენე) აწარმოებენ, ასეთ შემთხვევაში Noel-ისა და Therien-ის მოსაზრებით (2008), მით უფრო მარტივი ხდება მემარცხენე-მემარჯვენე სქემის გაგება. იდეოლოგიური პოლარიზაცია, ცნობილია, როგორც პარტიული პოლარიზება, ნაკლებმნიშვნელოვანია მათთვის, ვინც თავის იდენტიფიცირებას კონრეტულ პარტიასთან ახდენს. როდესაც მოქალაქეები ახლოს გრძნობენ თავს კონკრეტულ პარტიასთან, ისინი თავად ისრუტავენ და ერგებიან პარტიულ მოცემულობას. Downs (1957) აცხადებს, რომ თუ ადამიანები განავითარებენ პარტიული მიკუთვნებულობის იარლიყის მიღების პრაქტიკას, ისინი მიიღებენ მემარცხენე-მემარჯვენე ორიენტაციასაც.

ენტონი დოუნსის ნაშრომიდან მოყოლებული "დემოკრატიის ეკონომიკური თეორია" (1957), იდეოლოგია გახდა ის გადამწყვეტი ფაქტორი პოლიტიკური ქცევისა, რომელიც ადამიანების პოლიტიკურ პარტიებთან მიკუთვნებულებას განაპირობებდა. რაციონალური არჩევანის თეორიაზე დაფუძნებით, დოუნსი ხსნის იდეოლოგიას და მის მნიშვნელობას ამომრჩევლისათვის. რაც შეეხება თავად იდეოლოგიას, ვინაიდან მემარცხენეობა იდეოლოგიურ მიკუთვნებულობას აღნიშნავს, პირველ ყოვლისა, განვიხილოთ თავად იდეოლოგიის მნიშვნელობა.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო სტატიების კრებულის მეორე გამოცემაში (2013), რომელიც პოლიტიკას, პოლიტიკურ ფილოსოფიებს, იდეოლოგიების ტიპოლოგიასა და რეჟიმებს ეხება, ვხვდებით იდეოლოგიის ეტიმოლოგიას (https://bit.ly/2JniHf7). სიტყვა იდეოლოგია ანტონ დესტა დე ტრესიმ (1754-1836) საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში პირველად გამოიყენა.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით: იდეოლოგია იდეებისა და აზროვნების მიმართულების სხვადასხვაგვარობას ერთგვარი სისტემაა, რომელიც საყრდენი ხდება პოლიტიკური ქმედებებისა, ხოლო მიზნად ისახავს არსებული ძალაუფლების შენარჩუნებას, სახეცვილებას ან დამხობას.

დევიდ მაკლელანის (David Mclellan, 1995) განმარტებით, „იდეოლოგია სოციალურ მეცნიერებათა მთელ სისტემაში ყველაზე მოუხელთებელი ცნებაა“. რაც შეეხება, სიტყვის ახალ ჭრილში გაგებასაა და ფართომასშტაბიან დამკვიდრებას, ეს კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსს მიეწერება. მემარცხენე მარქსმა ეს ტერმინი თავი ნაშრომის სათაურში ,,გერმანული იდეოლოგია“ (The German Ideology, 1970) გამოიყენა. ნაშრომში ასახულია იდეოლოგიის ახლებური გაგება მარქსის ინტერპრეტაციით. ნებისმიერი პრობლემის სათავედ მარქსი საზოგადოების კლასობრივ დაყოფას მიიჩნევს და აცხადებს, რომ მმართველი კლასის იდეები ყველა ეპოქაში წარმმართველი იდეებია. სწორედ ამიტომ მთავარი ინტელექტუალური ძალა, რომელიც მაღალ კლასშია, ფლობს ქონების უდიდეს ნაწილსა და მატერიალური წარმოების საშუალებებს (Marx and Engels, 1970).

- **მემარცხენე იდეოლოგია**

განვიხილეთ რა, იდეოლოგიის დეფინიციები და მისი წარმოშობის ისტორია,

გადავიდეთ იდეოლოგიების სხვადასხვა ფრთად დაყოფის პრაქტიკის ანალიზზე. პოლიტიკური იდეოლოგიების კატეგორიზაცია ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია მემარცხენე და მემარჯვენე მიმართულებების გასამიჯნად და ადამიანების მიკუთვნებულობის საილუსტრაციოდ. მემარცხენე-მემარჯვენე პოლიტიკურ სპექტრად დაყოფას მოიაზრებენ წრფივ სპექტრად, რომელიც პოლიტიკურ მრწამსებს ორ პოლარულ ოპოზიტს - უკუდურეს მემარცხენე და უკიდურეს მემარჯვენე მიმართულებებს - შორის გარკვეულ ზღვარზე განალაგებს. მიკუთვნებულობის მიხედვით ადამიანები, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, რომ: „მარცხენა ფრთას“ ან „მარჯვენა ფრთას“ მიეკუთვნებდნენ თავს; ასეთ შემთხვევაში „მემარცხენეებად” მარცხენა ფრთის წარმომადგენლები მოიაზრებიან, ხოლო - „მემარჯვენეებად“ მარჯვენა ფრთისა. ცხადია, მემარცხენეობა და მემარჯვენეობაც სპექტრია და მათ შორის ზღვარი გადის ე.წ ცენტრიდტებზე, რომლებიც შედარებით უფრო ნეიტრალურები არიან; მათი იდეები არ არის რადიკალური და ისინი არც სპექტრის რომელიმე დაბოლოებაში, არც მარცნივ და არც მარჯვნივ, არიან განლაგებულნი (სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო სტატიების კრებული, მეორე გამოცემა, 2013).

ტერმინები „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ საფრანგეთის რევოლუციის სახელს უკავშირდება. კერძოდ, 1789 წელს მოწვეული გენერალური შტატების კრებაზე სხვადასხვა სოციალური კაპიტალის მქონდე ადამიანები, სტატუსის მიხედვით, ადგილებს სტრატეგიულად იკავებდნენ. არისტოკრატები, თავად-აზნაურობა და სასულიერო პირები, რომლებიც მონარქიული მმართველობას უჭერდნენ მხარს, მეფის მარჯვნივ განთავსდნენ, ხოლო მისგან მარცხნივ - შედარებით უფრო რადიკალური იდეების მქონე მესამე წოდების წევრები - ბურჟუაზია და რიგითი მოქალაქეები, რომელთა იდეები რესპუბლიკის შექმნასა და სეკულარიზმის გაძლიერებისაკენ იყო მიმართული.

ტერმინების თანამედროვე გაგება, გარკვეულწილად, ჩამოშორდა მის პირვანდელ მნიშვნელობას და სახეცვლილია, თუმცა, ფუნდამენტურ ღირებულებებს კვლავ ინარჩუნებს. მემარცხენეები იბრძვიან სოციალური თანასწორობის მისაღწევად და სოლიდარულები არიან საზოგადოების ყველა წევრისადმი. ეგალიტარიზმისაკენ სწრაფვა, პროლეტარიატზე დაყრდნობილი საზოგადოება, თანასწორუფლებიანობა, იერარქიების მიმართ დაუმორჩილებლობა და პროტესტი, ნაციონალისტური პოლიტიკის გატარების მიმართ შეუგუებლობა და სხვ. - ის რამდენიმე მახასიათებელია, რომელიც მემარცხენე იდეოლოგიასთან მიმართებით, ეპოქისა და ლოკაციის სხვადასხვაობის მიხედვით, ძირითად მაიდენტიფიცირებელ ნიშნებადაა მიჩნეული (Claes, 2013).

თუ მემარცხენეებისათვის უპირველესი თანასწორობაა, მემარჯვენეები ეკონომიკური საკითხების გარშემო ერთიანდებიან. მემარჯვენეები ორიენტირდებიან კერძო კაპიტალის მოხვეჭაზე, რომელიც ნაწარმოებია ნაკლები ძალაუფლების მქონდე, დაბალი სოციალური სტატუსის მქონე პირების ექსპლუატაციის ხარჯზე. მემარჯვენეები ემიჯნებიან სახელმიწოს ჩარევის იდეას კერძო საკუთრებაში. პოლიტიკური სპექტრის უკიდურეს ბოლოში განთავსებული კონსერვატორი მემარჯვენეები აცხადებენ, რომ კერძო საკუთრება ხელშეუხებელი უნდა იყოს და ემხრობიან კაპიტალისტურ იდეებს, რომელთა მიხედვითაც საზოგადოებაში თავისუფალი ბაზარი უნდა არსებობდეს. მეორე მხრივ, კომუნისტებისათვის, როგორც უკიდურესი მემარცხენეებისათვის, საზოგადო კაპიტალში სახელმწიფოს ჩარევა და რეგულაციების დაწესება ერთ-ერთი გადამწყვეტი პრინციპია. ცალკეულ პოლიტოლოგთა მოსაზრებით, სწორედ აქ ვაწყდებით ერთგვარ წინააღმდეგობას, რომელსაც იდეოლოგიურ მიკუთვნებულობათა წრფივი სპექტრი გვაძლევს და რომელიც მის მთავარ ნაკლოვანებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტური რეჟიმი მემარჯვენედ მოიაზრება, ისინი აღიარებდნენ და აქტიურად იყენებდნენ სახელმწიფო ჩარევის პრინციპს, რაც

მემარცხენეების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია; ასევე, ანარქისტები, რომლებიც თანასწორობას უჭერენ მხარს, რაც მათ მარცხენა ფრთაზე განალაგებს, უარყოფენ ეკონომიკურ მართვაში სახელმწიფო ჩარევას, რაც მათ მემარჯვენე ველისაკენ გადაისვრის და ურთიერთდაპირისპირებულ ფრთებზე განალაგებს.

წრფივი სპექტრი სივრცეში მარცხნიდან მარჯვნივ შემდეგნაირად განლაგდება:

კომუნიზმი > სოციალიზმი > ლიბერალიზმი > კონსერვატიზმი > ფაშიზმი.

ასეთი განლაგების ნაკლიც სწორედ ისაა, რომ პოლიტიკური იდეოლოგია მხოლოდ ერთ განზომილებამდე დაიყვანება და განისაზღვრება ერთი ნიშნის მიხედვით.

წრფივი მოდელის გაუმჯობესების სხვადასხვა მცდელობა არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი ცნობილი მიდგომა სპექტრის უკიდურესი მხარეების - კომუნიზმისა და ფაშიზმის - მსგავსებაზე ფოკუსირდება. აღნიშნული მიდგომა ამ სრულიად დაპირისპირებულ იდეოლოგიებს აერთმნიშვნელიანებს მათი ტოტალიტარული მმართველობის რეჟიმების ქონის მიხედვით და სხვა ყველა მნიშვნელობისაგან თავისუფალს ხდის. შესაბამისად, თუ წრფე ნალისებრ წრედ გადაიქცევა, ასეთ შემთხვევაში მემარცხენე და მემარჯვენე მიდგომები გვერდიგვერდ აღმოჩნდება, ერთმანეთის გადასაკვეთად დაიწყებს სწრაფვას და მიგვიყვანს ანომალიურ, უტოპიურ რეალობამდე, რომელშიც მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის გარკვეული ელემენტები კონრეტულ წერტილში ერთმანეთს გადაკვეთს, ერთიანდება და იგივდება ერთმანეთთან.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო სტატიების კრებულის მეორე გამოცემაში (2013), რომელიც პოლიტიკას, პოლიტიკურ ფილოსოფიებს, იდეოლოგიების ტიპოლოგიასა და რეჟიმებს ეხება, ვხვდებით მემარცხენე იდეოლოგიის განხილვასაც (https://bit.ly/2LJrUjt). წიგნში "საზრისი და უსაზრისობა ფსიქოლოგიაში" (Eysenck, 1964) ჰანს აიზენკმა ტრადიციული წრფივი სპექტრი ახალი ჰორიზონტალური ღერძის პლაცდარმად გამოიყენა, მაგრამ მას პოლიტიკური პოზიციების საზომი ვერტიკალური

ღერძიც დაამატა, რადგან ამისი საჭიროება შენიშნა. აიზენკის მოსაზრებით, საჭიროა გაამოიკვეთოს და გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან რიგიდული და „რბილი“ მოაზროვნეები. ერთ ბოლოზე უნდა განლაგდნენ ხისტად მოაზროვნენი, იგივე ავტორიტარები, ხოლო მეორე ბოლოზე - რბილად მოაზროვნენი, ანუ დემოკრატები.

თანამედროვე ეპოქაში მკვლევართა უმეტესობა სულ უფრო ხშირად ემიჯნება წრფივი სპექტრის ეფექტიანობას და მემარცხენე-მემარჯვენედ დაყოფის იდეას. როგორც გიდენსი (Giddens, 1994) აღნიშნავს, წარმოიჭრა ახალი პოლიტიკური თემები, რამაც დღის წესრიგში დადგა განხილვა ისეთი საკითხებისა, როგორებიცაა: ფემინიზმი და ქალთა ემანსიპაცია, ცხოველთა უფლებები, ეკოლოგია და მწვანე პოლიტიკა, ტრადიციული დიქოტომია მემარცხენე-მემარჯვენედ დაყოფის შესახებ, ფაქტობრივად, დრომოჭმული და ნაკლებმნიშვნელოვანი გახდა. აღსანიშნავია, რომ მწვანე მოძრაობები ამ აზრს ავითარებენ ისეთ ლოზუნგებში, როგორებიცაა: „არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, მხოლოდ წინ“. ეს პროცესი გააღრმავა ძველ კლასობრივ დაპირისპირებებზე უარის თქმამაც, რის შედეგადაც, მაგალითად, კონსერვატორებს გაუჩნდათ რადიკალიზმისა და იდეოლოგიური პოლიტიკისადმი მზარდი მიდრეკილება, ხოლო სოციალისტები ბაზარმა და კონკურენციამ გაიტაცა. მკვეთრად კონტრასტულ შეხედულებას გვთავაზობს ნორბერტო ბობიო (Bobbio, 1996); მისი აზრით, რადგან მემარცხენეობა და მემარჯვენეობა თანასწორობის შესახებ არსებითად განსხვავებულ დამოკიდებულებებს ასახავს, ეს ტერმინები საზოგადოებრივი და მზარდი გლობალური უთანასწორობის ახალი ფორმების სამყაროში უმნიშვნელო სულაც არ არის.

§ 1.2. მემარცხენე იდეოლოგიის ისტორია საქართველოში

მემარცხენე იდეოლოგიამ საქართველოში მე-19 საუკუნიდან მოყოლებული არაერთი სახეცვლილება განიცადა. მეცხრამეტე საუკუნის ქართული სოციალური აქტივიზმი, რომელიც რევოლუციური მოტივებით გამოირჩეოდა, არ აერთიანებდა მხოლოდ ერთი იდეოლოგიის გარშემო გაერთიანებულ ადამიანთა კოალიციას. მე-19 საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად შეგვიძლია, ბატონყმობის გაუქმება და გლეხობის გათავისუფლება მივიჩნიოთ. ამ პროცესს, ცხადია, თავისი გამოწვევებიც ახლდა თან: გათავისუფლებული გლეხობა სოფლიდან ქალაქისაკენ გაეშურა, რადგან ზოგი მიწას არ ფლობდა და სასოფლო-სამეურნო შრომის ხარჯზე ცხოვრებას ვერ შეძლებდა, ხოლო ზოგს - ცხოვრების ყაიდის შეცვა და ქალაქში დასახლება ჰქონდა გადაწვეტილი. ცვლილებები კარდინალური იყო და ამას თავისუფლებაშეზღუდული მენტალობის მქონე გლეხობის გამოუცდელობა ვერ ეხმარებოდა. გარდა ამისა, მეფისნაცვლის არსებობაც ქმნიდა პრობლემებს, რასაც ძალაუფლებადაკარგული თავად-აზნაურობის უკმაყოფილება ემატებოდა.

ქართული მემარცხენეობის ქრესტომათიის მიხედვით (2015), მემარცხენეობა ფეხს მე-19 საუკუნიდან იკიდებს და მე-20 საუკუნეში გრძელდება. ადრეულ მემარცხენეებს შორის ვხვდებით სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებს, ფემინისტებს, ანარქისტებს, მარქსისტებს და სხვა, თუმცა, ლიდერებად შესაძლოა სოციალ-დემოკრატები მივიჩნიოთ. მენშევიკებმა ხალხის მხარდაჭერა 1890-იანი წლებიდან მოიპოვეს. ისინი ეყრდნობოდნენ ქალაქში დაფუძნებულ მუშათა კლასსა და გლეხობას, თუმცა, მკაცრად გაცხადებული არ ყოფილა, რომ ადამიანები მაინცდამაინც სოციალური კლასის მიხედვით უნდა გაფილტრულიყვნენ. პარტიაში როგორც მუშები, ასევე მეწარმეები, ვაჭრები, ინტელექტუალური წრის წარმომადგენლები და სხვანი ირიცხებოდნენ. სოცილ-დემოკრატები პარტიას "ჩვენს პარტიას" უწოდებდნენ და აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი კაცობრიობის საყოველთაო ემანსიპაცია იყო. სწორედ მათ სახელს უკავშირდება 1892 წელს გამართული პირველი სოციალისტური თავყრილობაც,

რომლის შედეგებსაც ნოე ჟორდანია აჯამებდა: მან ჟურნალ “მოამბეში” (ნოე ჟორდანია, 1894) გამოქეყნა სტატია სახელწოდებით „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“. მიიჩნევა, რომ სტატია პირველი დოკუმენტია, რომელიც მემარცხენე ჭრილში განიხილავს ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებს და დღის წესრიგში შემოაქვს მემარცხენე იდოლოგიისათვის დამახასიათებელი რევოლუციური ცვლილებების აუცილებლობის იდეები. ნოე ჟორდანიას გარდა, პარტიაში ირიცხებოდნენ: ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი და სხვანი. ისინი მკაცრად ინარჩუნებდნენ ეროვნებას, როგორც ერთ-ერთ იდენტობას, მათ მრავალშრიან იდენტობებს შორის, საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. საბოლოოდ, სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს, დაეარსებინათ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მემარცხენე სულისკვეთებით იყო განმსჭვალული და ამ ფრთის იდეებს ეფუძნებოდა. ამ მიღწევის გარდა, უნდა აღინიშნოს სტიგმა, რომელის ქვეშაც მემარცხენე პარტიებს დღემდე ექცევიან. სტიგმი ჩამოყალიბება, უმეტესწილად, საბჭოთა კომუნისტების შეცდომების შედეგად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, მემარცხენეობის სტერეოტიპების ქვეშ მოქცევა, გარკვეულწილად, სოციალ-დემოკრატებსა და 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასაც უკავშირდება.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, მემარცხენე მოძრაობებს შორის იკვეთება ქალების ხმაც და ვხვდებით ქვეყანაში არსებული ყოფის ფემინისტურ ჭრილში გააზრებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საფუძველი იყო მომავალში ფემინისტური დისკურსის გაძლიერებისათვის. ქალები ითხოვდნენ თანაბარ უფლებებს და ქალთა ემანსიპაციის მეშვეობით, ზოგადად, პოპულაციის ემანსიპაციას ისახავდნენ მიზნად, თუმცა, მანამდე საჭირო იყო ქალების როლის ახლებური გააზრება სხვადასხვა სოციალურ სფეროში. როგორც ცნობილია, ფემინისტური მოძრაობები და ქალთა აქტივიზმი იმთავითვე

დემონიზებული იყო. ქალები, რომლებსაც სურდათ, არსებულ მოძრაობებს შეერთებოდნენ და ხმამაღლა ალაპარაკებულიყვნენ, ექცეოდნენ სტიგმის ქვეშ, რომელიც ფემინისტურ ნიშას მუდმივად თან გასდევდა. აღსანიშნავია, რომ დღემდე არაა თავისუფალი ამ სტიგმისგან. სწორედ ამიტომ, ამ ეპოქის ფემინისტური მოძრაობები მრავალრიცხოვანი მხარდამჭერთა რაოდენობით არ გამოირჩევა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იდეოლოგიურად თანხმობაში მოდის ევროპელ ქალთა ნააზრევთან და ტოლს არ უდებს მათ.

მე-19 საუკუნის ფემინისტ პიონერებს შორის არიან: ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი, მარიამ გარიყული, სოფო მგელაძე და სხვანი. მე-20 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი ნიმუშია კატო მიქელაძის სტატია „მიზეზი ქალთა მონობისა და მოძრაობისა“ (მიქელაძე, 1917). იგი გვთავაზობს ერთგვარ ანალიზსა და ქალთა გამოცდილების გადააზრებას ფემინისტურ ჭრილში, ასევე გვიხატავს პერსპექტივებს, რომლებიც შესაძლოა, გამართლდეს ქალების პოლიტიკურ სუბიექტებად გააზრებისა და სოციალურ სივრცეებში ჩართულობის შემთხვევაში.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის წარმართვისა და საორგანიზაციო საქმეში სოციალ-დემოკრატების მთავარ ოპონენტებად ანარქისტები მოიაზრებოდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ხალხის ნდობით სარგებლობდნენ, არაკეთილსინდისიერად იყენებდნენ ამ მხარდაჭერას. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით მკაფიოდ ავითარებს ანარქისტთა გამორჩეული ლიდერი მიხაკო წერეთელი წიგნში "პასუხი პროტესტანტებს" (1906). ის ცდილობს, კრიტიკულ ჭრილში განიხილოს რევოლუციისას გამოკვეთილი ხარვეზები და პრობლემები, რომლებიც ხალხისათვის ძალაუფლების ხელში ჩავარდნით გამოიკვეთა და არსებული ჩიხისაგან თავის დასახსნელად ალტერნატიულ გზებსაც სთავაზობს მკითხველს.

§ 1.3. მემარცხენე იდეოლოგიური დისკურსი საქართველოს სოციალურ- პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენათა ჭრილში

• ქალთა უფლებები

ქალთა ემანსიპაცია, მათი უფლებების დაცვა და განხორციელება დასაწყისიდანვე მემარცხენე იდეოლოგიას უკავშირდება. ფემინისტური დისკურსი, რომელიც პატრიარქალურ წყობას აკრიტიკებს, ქართულ მემარცხენე პოლიტიკაში მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს. დღევანდელი მოცემულობით, სამყაროში, რომელშიც კაცები დომინანტები არიან, ქალების ინტელექტუალური რესურსი მთლიანად ისეთი არასაჭირო საკითხებისაკენაა მიმართული, როგორებიც მოდისა და სილამაზის ინდუსტრიებში ჩართვის აუცილებლობაა. კაპიტალისტური რეჟიმი, რომელსაც მემარცხენე ფრთა მკაცრად აკრიტიკებს, იყენებს სხვადასხვა ბერკეტს, რათა ქალები ემოციური წნეხის ქვეშ ამყოფოს. მემარცხენე იდეოლოგიური კრიტიკის ჭრილში, კონსუმერისტული კულტურა, რომლის დაფუძნებაც სწორედ კაპიტალისტური იდეების განხორციელების შედეგად მოხდა, ზიანის მომტანია საზოგადოებისა და განსაკუთრებით ქალებისათვის. სწორედ გვიანდელმა კაპიტალიზმმა და ნეოლიბერალიზმმა შექმნა კონსუმერისტული საზოგადოება, რომელსაც თავს მოახვია აბსურდული იდეები, არასაჭირო ნივთების, სერვისების, პროდუქციის შესყიდვისა და ფლობის აუცილებლობის შესახებ. სამომხმარებლო კულტურის დამკვიდება გულისხმობს ერთგვარ სოციალურ-ეკონომიკურ წესრიგს, რომელიც საზოგადოების წევრებს უბიძგებს, შეიძინონ მეტი პროდუქტი. გენდერულად სპეციფიკური პროდუქციის შეთავაზება მომხმარებლისათვის, საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების გათვალისწინებით, ის მარკეტინგული ხრიკია, რომელსაც გავლენიანი

კომპანიები იყენებენ თავიანთი პროდუქციის გასასაღებლად, სამომხმარებლო კულტურის პირობებში. ვხვდებით ერთსა და იმავე პროდუქტებს, რომლებიც გენდერის მიხედვითაა გადარჩეული _ პროდუქტები იდენტურია, თუმცა, ქალებისთვის მარკეტირებული პროდუქცია გაცილებით უფრო ძვირი ღირს, ვიდრე კაცებისთვის. ამიტომ კაპიტალიზმი ,,მეგობრობს“ პატრიარქატთან და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ჩაგრავს დასაწყისიდანვე მარგინალიზებულ ჯგუფებს. კონსუმერიზმის წნეხი (Crawford, 2014) კონკრეტულად, მასკულინური წესრიგის მიერ დამყარებულ სხვადასხვა წესსა თუ სტანდარტში, ქალებთან მიმართებით იკვეთება და ქალებს, რომლებიც გენდერული ნიშნის მიხედვით იჩაგრებიან, კიდევ უფრო მოწყვლად ჯგუფად გადააქცევს სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორის გამო. მსგავს პრაქტიკებად შეიძლება მივიჩნიოთ სილამაზის სტანდარტების დაწესება და ქალების გარეგნობის მიხედვით გადარჩევა; ქალების დეჰუმანიზება, ობიექტივიზაცია, სექსუალიზება და მამაკაცების ტკბობის ობიექტებად გადაქცევა; ქალების პოლიტიკური არენიდან ჩამოცილების მცდელობა; ქალებისთვის მხოლოდ საშინაო საქმის კეთების ვალდებულების დაკისრება და სხვა.

ქალებისათვის ჩაგვრის სისტემურ ჭრილში განხილვის პიონერებად ფემინისტი აქტივისტების: ბეტი ფრიდანის ნაშრომი “ქალური მისტიკა” (1963) და დე ბოვუარის “მეორე სქესი” (1949) მიიჩნევა. მათი ნაშრომები ინტერსექციურია და ქალების ჩაგვრას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, მრავალ შრეზე განიხილავს. სწორედ ბოვუარისა და ფრიდანის ნაშრომებმა დაამკვიდრა პატრიარქატისა და იდენტობის პოლიტიკის ცნებები და აღწერა განსხვავებები გენდერსა და სქესს შორის. როგორც მესამე ტალღის ფემინისტი ავტორი ნაომი ვოლფი წიგნში "ფანტომის მხილება" (1991) აცხადებს, ქალებს უნდა შეეძლოთ თავიანთი გარეგნობის მართვა. მათ უნდა შეეძლოთ, აკონტროლონ, როგორ გამოიყურებოდნენ. ვოლფის აზრით, სოციალური წნეხი ამ პროცესში გაამწყვეტ როლს თამაშობს. წნეხი მოდის სტანდარტების დაწესების

დანერგვიდან ქალებისათვის, ხოლო სტანდარტები, თავი მხრივ, პატრიარქატის დომინირების შედეგია: პოლიტიკურად აქტიური ქალებისათვის ფანტომური ხდება და მძიმდება მათ მიმართ არსებული მოთხოვნები, ამიტომ სრულყოფის პროცესში ქალების მთელი რესურსი არასაჭირო მიმართულები იფლანგება. სწორედ ამ წრის გათვალისწინებით, კაპიტალიზმი, რომელიც ქალებს ავიწროებს, საზოგადოებრივ პროგრესს არ ემსახურება. უფრო მეტიც, ხელსაც კი უშლის მას.

ქვეყანაში აქტუალურია ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა. სწორედ ფემინისტური მოძრაობების მხარდაჭერით იხილა დღის სინათლე სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ქალების ბრალდებებმა, რომლებიც ზვიად დევდარიანის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს მოვლენა საფუძვლად ჩაეყარა საქართველოს პრაქტიკას, რომ ქალებს დაეწყოთ სექსუალურ შევიწროებაზე ხმამაღლა საუბარი. მაუწყებლის საბჭოს წევრობაზე წარდგენილ კანდიდატ ზვიად დევდარიანს, 2018 წელს 10-მდე ქალი უჩიოდა და აცხადებდა, რომ სხვადასხვა დროს დევდარიანი საკუთარ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებდა და ცდილობდა, თავისი გავლენები თავისსავე სექსუალური ფანტაზიების განსახორციელებლად გამოეყენებინა (http://liberali.ge/news/view/35048/seqsualuri-shevtsroebis-braldeba-da-zviad-devdarianis-pasukhi).

ქალთა მოძრაობების წლის მთავარ მიღწევად შესაძლოა, მათი დაუღალავი მუშაობის შედეგად მიღწეული კანონის დამტკიცება მივიჩნიოთ - პარლამენტმა 2019 წლის 9 მაისს სექსუალური შევიწროების შესახებ ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო. კანონის მიხედვით, დისკრიმინაციად (მათ შორის სექსუალურს შევიწროებად) მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის

მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით (http://liberali.ge/news/view/44804/seqsualuri-shevitsroeba-dasjadi-khdeba---parlamentma-tsvlilebebi-daamtkitsa).

- **ცხოველთა უფლებები**

მემარცხენე ფრთისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის, ჩაგრულთა უფლებებისათვს ბრძოლას უკავშირდება ცხოველთა უფლებადამცველობითი აქტივიზმი. მემარცხენე ჭრილში, ნებისმიერ ცხოველი, რომელსაც ექსპლუატაციას უწევენ და სარგებლის მისაღებად იყენებენ, ტანჯულია და დახმარებას საჭიროებს. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული არსებობდა დაინტერესება ცხოველთა უფლებებისა თანაკვეთასა და მემარცხენე დისკურსს შორის. საკითხით დაინტერესებულ პირთა შორის იყვნენ სოციალისტებიც. მაგალითად: ჰენრი სოლთი, ედვარდ კარპენტერი და სხვანი. აღსანიშნავია, რომ ცხოველთა უფლებების გადააზრება და არსებული დამოკიდებულებების კრიტიკულ ჭრილში განხილვა კონტროვერსიული აღმოჩნდა კარლ მარქსისათვის, მემარცხენე იდეოლოგიის, მარქსიზმის ფუძემდებლისათვის. მისი პოზიციით, არსებობს იერარქიები, რომლებაც კაცობრიობა უნდა დაემორჩილოს, მათ შორის ადამიანის უპირატესობას ცხოველთა მიმართ(Benton, 1988). მარქსის იდეები ცხოველებთა მიმართ ეფუძნებოდა ჰეგელის, მემარცხენე იდეოლოგიის მქონე პირის, იდეებს (Marx & Engels, 1845), რომელთა მიხედვითაც, დაუშვებელია, მივიჩნიოთ, რომ ცხოველებს გონი აქვთ, გრძნობენ და განიცდიან მათ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, დღესდღეობით უდავოა, რომ ხორცისა და რძის პროდუქტების ინდუსტრიები, რომელთა რაოდენობა უფრო და უფრო მზარდი ხდება, ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან ბიზნესადაა გადაქცეული. კაპიტალიზმის პირობებში, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესის წარმოება და ცხოველთა

ინდუსტრიალიზება, რთულს ხდის ეთიკურობის დაცვას. ამ ჩაგვრების ფონზე სულ უფრო იზრდება ისეთი ჯგუფების წევრთა რიცხვი, რომლებიც კვების რაციონიდან იღებენ ცხოველურ პროდუქტებს და აქტივიზმში არიან ჩართულები. მსგავს ჯგუფებს მიეკუთვნებიან: ვეგანები, ანარქოვეგანები, ეკოფემინისტები, მწვანე პოლიტიკის მატარებელი ჯგუფები და სხვანი. მაგალითისათვის, ვეგანებზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ ვეგანად ყოფნა შესაძლოა განვიხილოთ მემარცხენე აქტად. ამ აქტით ეთიკური ვეგანების უმრავლესობა უპირისპირდება ძალადობრივ სისტემას, რათა ცხოველთა ნებისმიერი სახით ჩაგვრა, ექსპულატაცია და ძალადობა შეწყდეს. ვეგანობა, ასევე, ემიჯნება სპეცისიზმს და მის მავნებლობაზე აქცენტირდება. სპეცისიზმი ეფუძნება სახეობების დისკრიმინაციას და გულისხმობს ცხოველების ამ ნიშნის მიხედვით გადარჩევასა და უფლებების, მნიშვნელობის მინიჭებას მათთვის. სპეცისისტების მოსაზრებით, ადამიანი იერარქიის ყველაზე მაღალ საფერხურზე მდგომი არსებაა, ხოლო სხვა დანარჩენი სახეობები მასზე დაქვემდებარებულები არიან. ვეგანები ცხოველების საკვებად, ტყავისათვის, ექსპერიმენტებისთვის, გასართობად გამოყენებას გამორიცხავენ. ისინი არ მოიხმარენ ცხოველურ პროდუქტებს, არ ჭამენ ხორცს, თევზს, კვერცხს, რძის პროდუქტსა და თაფლს, არ იყენებენ ცხოველის ტყავით დამზადებულ ნივთებსა და ცხოველებზე გამოცდილ პარფიუმერულ პროდუქციას.

ვეგანების მოსაზრებით, არაეთიკური პრაქტიკების მიღმა პატრიარქალური და კაპიტალისტური სისტემები დგანან - კრიტიკის ამ ხაზის გატარებას კი სწორედ მემარცხენე იდეოლოგიამდე მივყავართ.

საქართველოში უმცირესობაში მყოფი კვების ჯგუფების შექმნა, რომლებსაც განსხვავებული პრეფერენციები აქვთ, საკმაოდ ახალია. არ არსებობს ხელმისაწვდომობა ვეგანურ პროდუქტებზე, რომლებიც მცენარეულია, თუმცა, თემით დაინტერესება ნელ-ნელა იზრდება. ცხოველთა უფლადამცველ აქტივიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვად მიღწევად შესაძლოა მივიჩნიოთ მიმდინარე 2019 წელს ცხოველთა

წამების შესახებ მიღებული ცვლილებები. ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობაზე გამკაცრდა სასჯელი. ცვლილება პარლამენტში მესამე მოსმენით დამტკიცდა. ცვლილების მიხედვით, ცხოველის მოკვდინების შემთხვევა ჩაითვლება საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულად და ადმინისტრაციული კოდექსი აღარ დაარეგულირებს (https://bit.ly/2LJH8oC).

იდეოლოგიური ჭრილში ცხოველთა უფლებებთან მიმართებით, მნიშვნელოვანი მოვლენა ვეგანურ კაფეზე „კივი“ თავდასხმა გახლდათ. 2016 წლის მაისში მემარჯვენე ნაციონალისტური ძალა, რომელიც ბერგმანის ჯგუფის სახელითაა ცნობილი, „კივიში“ შეიჭრა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა იქ შეკრებილ მომხმარებელს და საკვებში მწვადისა და სოსისების ნაჭრები ჩაუყარა (http://liberali.ge/news/view/22880/vegankafe-kivi-yelze-sosisebi-hqondat-shemokhveuli-da-bergmanis-dajgufebidan-iyvnen). დაზარალებულები აღნიშნავდნენ, რომ თავდამსხმელები აგრესიით გამოირჩეოდნენ. საკითხის განხილვისას რელევანტური ხდება არა იმდენად ხორცის შეყრის აქტი და ვეგანებისადმი უპატივცემულობის დემონსტრაცია, არამედ იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე აქცენტირება, რომელიც ულტრამემარჯვენე ძალებს ფობიებით შეპყრობილ პირებად გადააქცევს. მათთვის ნებისმიერი მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი ხდება მტერი, ხოლო მნიშვნელობას კარგავს ის ნიშან-თვისებები, რომელთა მეშვეობითაც ეს პირები თავს მემარცხენეებად აიდენტიფიცირებენ. ეს ნიშანი კი, ცალკეულ შემთხვევებში, კვებითი პრეფერენცია, ცალკეულ შემთხვევებში, სოციალური კლასი ანდა სექსუალურ უმცირესობაში ყოფნაა.

- **ქვიარ თემი**

მემარცხენე იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ელემენტად ჩაგრული ჯგუფებისათვის უფლებებისათვის ბრძოლა და მათი მხარდაჭერა უნდა განვიხილოთ. ვინაიდან ქვიარ ადამიანები სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან, ტრანსგენდერი, გენდერქვიარი, აგენდერი, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და სხვ. სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის მქონე პირის ჩაგვრისას, მემარცხენე აქცენტების დასმა საკითხის დღის სინათლეზე გამოტანისას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უსაფუძვლო შიში, დისკრიმინაცია, სიძულვილი ლგბტ პირთა მიმართ და ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც მათ მიმართ გამოხატულ აგრესიას სდევს თან, ეს არის საკითხი, რომელსაც სათანადო ყურადღება საქართველოში არ ექცევა და რომელიც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვს - ეს ჰომო/ბი/ტრანსფობიური განწყობებია. ჩვენ ვცხოვრობთ ჰეტერონორმატიულ საზოგადოებაში, რომლისთვისაც ლგბტ წყვილების მიღების მზაობა შორეული პერსპექტივაა და რომელიც ნაკლებადაა დაინტერესებული სექსუალური/გენდერული უმცირესობების პრობლემებითა და მათი აღმოფხვრის გზების მონახვით. სწორად დასმული საკითხების მნიშვნელობა განსაკუთრებით ყურადსაღები ხდება, თუ 2019 წელს გამოქვეყნებულ სახალხო დამცველის ანგარიშს გადავხედავთ, საქართველოში ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ და იმ ნაწილს დავაკვირდებით, რომელიც ქვიარ ადამიანების ყოფას ეხება. “2019 წელს ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში არსებითად არ შეცვლილა. საზოგადოებაში კვლავ ძლიერია ჰომოფობია და ანტიგენდერული ჯგუფების გავლენა, რის გამოც ლგბტ ადამიანები კვლავ განიცდიან ჩაგვრას, დისკრიმინაციას და ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი,” - ვკითხულობთ ანგარიშში (https://bit.ly/2S6ZlgT). ომბუდსმენ ნინო ლომჯარიას რეკომენდაციით, ეროვნულ სამოქმედო გეგმებში საჭიროა აისახოს ლგბტ პირების უფლებების დღის წესრიგი და ლგბტ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობა ამ პროცესის

ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანფობიასთან ბროლის საერთაშორისო დღეს, როდესაც ოჯახის სიწმინდის დამცველებმა მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევა განიზრახეს, ქართული ჟურნალისტიკა დადგა უდიდესი გამოწვევის წინაშე. მედიამ და მათ შორის ონლაინმედიამ, წაახალისა საზოგადოება და შექმა არასწორი წინასწარგანწყობები, როდესაც დააანონსა ცრუ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც თბილისში 17 მაისს გეი აღლუმი ჩატარდებოდა. გარდა ამისა, გაისმა არაერთი ჰომოფობიური და ტრანსფობიური განცხადება, არამხოლოდ რესპონდენტების, არამედ ჟურნალისტების მხრიდანაც. ეს გამოცდილება შესაძლოა მივიჩნიოთ ერთ-ერთ გამოწვევად, რომელიც ვერ დავძლიეთ, თუმცა, საკითხის ანალიზისას შეგვიძლია გამოვკვეთოთ ის ფაქტორები, რომლებიც ხელისშემშლელი აღმოჩნდა გამოწვევის წარმატებით დაძლევაში.

ნაშრომთან მიმართებით, რელევანტურია იდეოლოგიური მიკუთვნებულობის ქონა და ულტრამემარჯვენე ძალების აღზევება. ნაციონალისტური ჯგუფები, რომლებსაც ზურგს საპატრიარქოს განცხადებები უმაგრებდა, მკვეთრად მემარჯვენედ იყვნენ განწყობილები და უპირისპირდებოდნენ ისეთ მოწყვლად ჯგუფს, როგორიც ქვიარ თემი იყო. აქ იკვეთება სწორედ ფუნდამენტურ ღირებულებებს შორის არსებითი შეუთავსებლობა, რომლის სათავეც სწორედ იდეოლოგიურ მიკუთვნებულობაში უნდა ვეძიოთ.

ქვიარ ადამიანები, როგორც ჩაგრული ჯგუფი, და მათი უფლებები 2018 წელსაც გამოირჩეოდა სიმწვავით. 2018 წლის 17 მაისს ჰომო/ბი/ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორის დღეს მთავრობის ადმინისტრაციასთან გამართულ აქციაზე ქვიარ აქტივისტს, ნიქო გორგილაძეს სიტყვით გამოსვლისას თავს დაესხნენ. თავდასხმა ჰომოფობიურ ნიადაგზე მოხდა. აღსანიშნავია, რომ თავდამსხმელი არასრულწლოვანი იყო. “ნეტგაზეთის” ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ

მსხვერპლი დაზარალებულად არ სცნო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პროკურატურას მიმართა და ვინაიდან მას რეალური საფრთხე ემუქრებოდა, მოითხოვა ნინოსთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, (https://netgazeti.ge/news/290465/).

2018 წლის 12 ნოემბერს 2 ტრანსგენდერ ქალს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. "ტაბულას" ინფორმაციით, ქალებს, სავარაუდოდ, 8 ადამიანი დაესხა თავს ტრანსფობიურ ნიადაგზე და მძიმე დაზიანებები მიაყენა მათ (http://www.tabula.ge/ge/story/139548-2-transgender-qals-savaraudod-7-adamiani-fizikurad-gaustsorda).

- **შრომითი უფლებები**

მემარცხენე იდეოლოგიის კონტექსტში მუშათა კლასის უფლებებისათვის ბრძოლა გადამწყვეტია, ვინაიდან სწორედ პროლეტარიატის რევოლუციური განწყობები დაედო საფუძვლად მემარცხენე ფრთის ჩამოყალიბებას. საქართველოში მუშათა კლასისათვის მნიშვნელოვან ბრძოლას გაუსაძლისი შრომითი პირობების ქონა და არატოლერანტული დამოკიდებულებები წარმოადგენდა. მაღაროებში მომუშავე პირები ითხოვდნენ შრომის უსაფრთხო პირობებს, ანაზღაურების გაზრდას და ეთიკურ მოპყრობას. ქვეყანაში განსაკუთრებით მწვავედ დგას შრომითი უსაფრთხოების საკითხი. რეგულაციების არარსებობასა და არასაკმარისად დაცული სივრცეების გამო, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ინფორმაციით, 2018 წელს სამუშაო ადგილებზე საწარმოო ტრავმების შედეგად დაიღუპა 29 და მძიმედ დაშავდა 24 ადამიანი. აქედან შახტებში დაღუპულია 11, ხოლო მძიმედ დაშავებულია 10 ადამიანი. კარიერებზე გარდაიცვალა 3, მძიმედ დაშავდა 2 ადამიანი.

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ტრაგედია, რომელიც 2018 წელს საქართველომ გადაიტანა, ეს 5 აპრილის ტრაგედაა. ტრაგედიას პროფკავშირების გაერთიანება გამოეხმაურა ანგარიშში, რომლის თანახმადაც 2018 წლის 5 აპრილს მომხდარი ტრაგედია არ უკავშირდებოდა რაიმე სახის ბუნებრივ მოვლენას. პროფკავშირების გაერთიანების დასკვნით, რომელიც უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებს დაეყრდნო, დატრიალებული ტრაგედია ადამიანურ ფაქტორებს უკავშირდებოდა. 5 აპრილს დატრიალებული ტრაგედია, რომელსაც 6 ადამიანი შეეწირა, ხოლო 3 მძიმედ დაშავდა, საქართველოს მთავრობის მიერ გლოვის დღედ გამოცხადდა. თუმცა, გლოვის დღედ გამოცხადება საკმარისი არ აღმოჩნდა. დაანონსდა აქციები მუშების მხარდასაჭერად. პირველ მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღეს, ჭიათურაში აქცია გაიმართა. აქციის ორგანიზატორებს შორის იყვნენ სტუდენტური მოძრაობა "მწვანე მუშტი", მოძრაობა "ჩვენ დამოუკიდებლობისთვის", "ჭიათურელთა კავშირი" და სხვანი. “ლიბერალის” ინფორმაციით, აქტივისტი ლევან ლორთქიფანიძე აცხადებდა, რომ მათი მთავარი სათქმელია ის, რომ ჭიათურა სოციალური და ეკოლოგიური განადგურების წინაშე დგას.

აღსანიშნავია, რომ მაღაროელების ამ მოთხოვნას გამოეხმაურა ადამიანების უფლებათა დამცველი ორგანიზაციის ევროპისა და ცენტრალური დივიზიის წარმომადგენელი ორგანიზაციიდან "Human Rights Watch" და აღნიშნა, რომ მანგანუმის კომპანია ვალდებულია, ყურადღებით მოუსმინოს საჩივრებს და დახვეწოს კანონმდებლობა (https://www.hrw.org/news/2019/05/21/georgia-miners-strike-better-working-conditions?).

აქციის მოტივები მკვეთრად მემარცხენე იყო და სოლიდარობას უცხადებდა ექსპლუატირებულ მუშებს. „ამ დანაშაულზე პასუხისმგებლობა კომპანია „ჯორჯიან მარგანეზს“ ეკისრება, რომელიც ადამიანებს უმცირეს ხელფასს უხდის, არ იცავს შრომის უსაფრთხოების პრინციპებს. მაღაროელებში სიკვდილიანობა ძალიან

მაღალია. ამ ქალაქში ჰაერსა და წყალში ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობა დასაშვებ ზომას 2-3-ჯერ აღემატება, ყველა კვლევის მიხედვით. მადნის მოპოვება-ამოღება ღია კარიერული წესით ხდება, ანადგურებენ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, შემდეგ კი ამ მიწების რეკულტივაციაზე უარს ამბობენ. მუშები მინიმალურ ანაზღაურებას იღებენ. ისინი მაღაროში სიცოცხლის რისკის ფასად შედიან. გარემო დაბინძურებულია, გლეხებს და ფერმერებს მიწის რესურსი არ აქვთ“, - ამბობდა ლევან ლორთქიფანიძე (http://liberali.ge/news/view/16224/foto-solidaroba-mushebs--mshromelta-uflebebis-dasatsavad-chiaturashi-aqtsia-mimdinareobs).

მორიგი აქცია ტყიბულელი მშრომელების მხარდასაჭერად, 2018 წლის 6 აპრილს გაიმართა. შეკრებილების სოლიდარობას უცხადებნენ უსამართლო შრომით პირობებში მომუშავე პირებს და მოსახლეობას გააქტიურებისაკენ მოუწოდებდნენ. აქცია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (emc), მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის, სოლიდარობის ქსელისა და ახალგაზრდა სოციალისტების მიერ დაანონსდა და მათ მიერვე იქნა ორგანიზებული (http://liberali.ge/news/view/35632/solidaroba-tyibuls--khval-tbilisshi-saprotesto-aqtsia-gaimarteba). მკვეთრად მემარცხენე იდეების წამოწევამ და აქტივისტმა მოთხოვნებმა შედეგი გამოიღო - მინდელის შახტაში არსებული სამუშაო პირობების გამოკვლევა და შესწავლა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ILO-ს ექსპერტებმა დაიწყეს.

§ 1.4. კვლევის მეთოდოლოგია

- **კონტენტ-ანალიზი**

კვლევისთვის არჩეული მეთოდია კონტენტ-ანალიზი. მეთოდის რაოდენობრივი და თვისებრივი საშუალებებით ონლაინმედიის პუბლიკაციებში არსებული იდეოლოგიური ფილტრი იყო გაანალიზებული.

კონტენტ-ანალიზის მეშვეობით პუბლიკაციების შინაარსობრივ-სტრუქტურული მახასიათებები იყო შესასწავლი. კერძოდ:

- კონტექსტი;
- ტონი;
- არჩეული რესპოდენტები;
- სათაური;
- პუბლიკაციებში გამოკვეთილი მთავარი მესიჯები.

კონტენტ-ანალიზის მეთოდის საშუალებით, მონიტორინგი განხორციელდა სამ მედიაგამოცემაზე: „ლიბერალი“, „ტაბულა“ და „ნეტგაზეთი“, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედასტურებინა ან უარგვეყო კვლევის ჰიპოთეზა და პასუხები გაგვეცა საკვლევი კითხვებისათვის.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონის განმარტების თანახმად, კონტენტ-ანალიზის მეშვეობით შევისწავლით მედიის შინაარსს (ინფორმაციის), როდესაც ხდება მისი კლასიფიკაცია ფორმალიზებული პრინციპით. კონტენტ-ანალიზის ობიექტი შეიძლება გახდეს გაზეთების, საჯარო გამოსვლების, ტელე და რადიოგადაცემების, ოფიციალური და პირადი დოკუმენტების, ინტერვიუების, ანკეტის ღია კითხვებზე პასუხების და ა.შ. შინაარსი (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4823).

მიქელსონის და გრიფინის აღიარებდნენ კონტენტ-ანალიზის რვა სხვადასხვა მიდგომას, რომელიც ყველაზე გამიყენებადია პრაქტიკაში. ესენია: კლიპინგი, ტირაჟის და მკითხველის ანალიზი, რეკლამის ღირებულების ექვივალენტურობა, მარტივი კონტენტ-ანალიზი, მესიჯების ანალიზი, ტონალობის ანალიზი, მნიშვნელობის ანალიზი, გაშუქების ხარისხი (Michaelson & Griffin, 2005).

კონტენტ-ანალიზის მეთოდად დანერგვის პრაქტიკა მედიასთან მიმართებით ჰაროლდ ლასველის დამსახურებაა (1927) (http://www.historylearningsite.co.uk/sociology/research-methods-in-sociology/media-content-analysis/). ლასველის გვერდით ყოველთვის იხსენიებენ კრიპერდორფს (Krippendorff, 1980), რომელიც კონტენტ-ანალიზს მიიჩნევდა ისეთ საკვლევ ინსტრუმენტად, რომლითაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაადგინოს მონაცემების მიმართება და მის კონტექსტთან. კრიპერდორფის მიხედვითვე, სწორედ კონტენტ-ანალიზის ტექნიკა იძლევა მონაცემებსა და კონტექსტს შორის ვალიდურობის დადგენის საშუალებას (http://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/view/1089/2385). ბერელსონის (Berelson, 1952) და ჰოლსტი (Holsti, 1968) ერთსა და იმავე აზრს იზიარებენ და აცხადებენ, რომ კონტენტ-ანალიზის მეთოდი ობიექტურია და სისტემურია (https://www.digitalmethods.net/MoM/QuantContentAnalysis).

• თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგის თეორია

ფრეიმინგის თეორიის კონცეპტის პირველად გამოყენება გრეგორი ბეიტსონს 1972 წელს უკავშირდება. მან მოახდინა დეფინირება ფსიქოლოგიური ჩარჩოებისა, რომლებიც ოპერირებდნენ მეტაკომუნიკაციის ფორმებად.

ნებისმიერი მედია საშუალება ცდილობს, საზოგადოებაზე გარკვეული გავლენა იქონიოს. მედიის წარმომადგენლების მიერ საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანა უმნიშვნელოვანესია, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორ, რა კუთხით იქნება ესა თუ ის კონკრეტული ამბავი გაშუქებული. აღსანიშნავია, რომ ფრეიმინგის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომუნიკაციის სხვა თეორიებს შორის, ფრეიმინგი ყველაზე ფართოდ გამოიყენება.

ფრეიმინგის მეთოდოლოგიის მეშვეობით, ჟურნალისტები არჩევენ და გამოყოფენ

კონკრეტულ მოვლენებს, რომლებიც საზოგადოებას მიეწოდება. ფრეიმინგის დახმარებით შეგვიძლია, განვსაზღვროთ, თუ რა დატვირთვა მიანიჭა ამა თუ იმ გამოცემამ კონკრეტულ მოვლენას (Reese, 2007).

დრიუკმენი (Druckman, 2001) ფრეიმინგის შესახებ სხვადასხვა ავტორის განმარტებას გვთავაზობს: „ფრეიმი წარმოადგენს ცენტრალურად ორგანიზებულ იდეას ან ისტორიას, რომელიც საზოგადოების ყურადღებას ხსნის ერთი ვიწრო საკითხის მიმართულებით, ფრეიმი აუდიტორიას ამბის მთავარ საკითხზე ფოკუსირებას სთავაზობს“ (Gamson & Modigliani, 1987). „ფრეიმინგი წარმოადგენს იმას თუ როგორ, რა კონკრეტული იდეით არის დაწერილი და მიწოდებული ესა თუ ის ამბავი, ის შეიცავს საორიენტაციო ჰედლაიენებს, სპეციფიურ, საჭირო სიტყვებს და ა.შ“ (Cappella & Jamieson,1997).

ედელმენის მოსაზრებით, როდესაც საზოგადოება სამყაროს ბუნების შეცნობას ცდილობს, ეს დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რა სახით ვახდენთ მოწოდებული ნიშნების ინტერპრეტაციას (Edelman, 1973). “ეს მინიშნებები ძალზედ დამაბნეველი იქნებოდა, ჩვენს გონებას მათთვის კონკრეტული შინაარსი რომ არ მიენიჭებინა, რაც ხორციელდებოდა მცირე რაოდენობაზე ყურადღების კონცენტრირებითა და უმრავლესობის იგნორირებით, ასევე, ყურადღების ქვეშ მოქცეული მინიშნებების სპეციალურ კატეგორიაში განთავსებით”.

ფრეიმების განხილვისას, ცალკეულ შემთხვევაში, მედიის წარმომადგენლებს შესაძლოა კონკრეტული ფრეიმები გამორჩეთ და დაზარალებულ მომხმარებლამდე არასაკმარისი ან არასწორი ფრეიმით გაცხრილული ინფორმაცია მივიდეს. ფრეიმები შეიძლება, წინასწარგანზრახვის გარეშეც გამოვტოვოთ. ეს არ არის იდეალური მოცემულობა, რადგან ახალი ამბებით გაჯერებულ საზოგადოებაში, სწორედ ახალი ამბებია გადამწყვეტი ჩვენს ცხოვრებაში კონკრეტული ინფორმაციის მოწოდებით ან პირიქით _ ამოგდებით (Gans, 1979).

აიენგარი (Iyengar, 1971) განასხვავებს ფრეიმის ორ ტიპს: ეპიზოდურსა და თემატურს. ახალი ამბების ეპიზოდური ფრეიმი კონკრეტული შემთხვევების ჭრილში ასახავს საზოგადოებრივ საკითხებს. თემატური ფრეიმი კი საზოგადოებრივ საკითხებს წარმოაჩენს გაცილებით ზოგად და აბსტრაქტულ კონტექსტში და, როგორც წესი, იღებს ჩანართის ან ინტერვიუს ფორმას. ფაქტობრივად, ეს არის მოხსენება ზოგადი შედეგებისა და პირობების შესახებ. აიენგარი ამტკიცებდა, რომ ეპიზოდური ფრეიმისთვის უპირატესობის მინიჭებით მრავალი საკითხი ნაკლებსაფუძვლიანად შუქდებოდა.

აღსანიშნავია, რომ თავად რეპორტიორებიც ექცევიან გავლენის ქვეშ. მაგალითად: სოციალური ნორმები, ინტერესის ჯგუფების წნეხი, ჟურნალისტური რუტინა, პერსონალური პოლიტიკურ თუ იდეოლოგიური შეხედულებები და სხვა. შედეგად ვიღებთ ახალ ამბებს, რომელთა განლაგება და მიწოდება კონკრეტული პირების მიერაა განსაზღვრული. მაგ.: რა უფრო მნიშვნელოვანია, ტრანსგენდერი ქალი, რომელიც სასიკვდილოდ სცემეს, თუ ახალი პოლიტიკური კანონპროექტი, რომელიც პარლამენტის სხდომაზე განსახილველად გაიტანეს? ეს მედიის წარმომადგენელთა გადასაწყვეტია და სწორედ ამ გადაწყვეტილების განხორციელების შედეგად მიეწოდება აუდიტორიას ეს ინფორმაცია.

ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, ჩნდება კითხვები, რომლებიც ქართული ონლაინმედიის მემარცხენე იდეოლოგიურ სპეციფიკას უკავშირდება. შერჩეული კვლევის მეთოდი და ქვემოთ მოტანილი კვლევის შედეგები იძლევა აღნიშნულ კითხვებზე პასუხების გაცემის საშუალებას.

§ 1.5. **კვლევის დიზაინი**

- **კვლევის კითხვები**

RQ1: აშუქებენ თუ არა ქართული ონლაინმედია პლატფორმები მემარცხენე იდეოლოგიისათვის მნიშვნელოვან საკითხებს?
RQ2: იყენებენ თუ არა ქართული ონლაინმედია პლატფორმები მემარცხენე კრიტიკის პოტენციალს ახალი ამბების გაშუქებისას?
RQ3: რამდენად აისახება იდეოლოგიური მიკუთვნებულობა ონლაინმედია გამოცემების სარედაციო პოლიტიკაზე?

- **კვლევის ჰიპოთეზები**

RH1: ქართული ონლაინგამოცემები საკუთარ მასალებში ნაკლებად ავლენენ მემარცხენე აქცენტებს და ნეიტრალურ ტონს ინარჩუნებენ.
RH2: ქართული ონლაინგამოცემები იდეოლოგიური მიკუთვნებულობისგან სრულად დაცლილი არ არის. სწორედ იდეოლოგიური მიკუთვნებულობიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში , ვლინდება იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ელემენტები.

- **კვლევის მასალა და საკვლევი პერიოდი**

საკვლევად შევისწავლეთ სამი ონლაინგამოცემის: „ლიბერალის“, „ტაბულასა“ და „ნეტგაზეთის“ პუბლიკაციები.
დაკვირვების მთავარ ინტერესს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ვლინდება მემარცხენე დისკურსი აღნიშნულ ონლაინგამოცემათა პროდუქტებში და რამდენად თვალსაჩინოა მემარცხენე აქცენტები მათ მასალაში.

კრიტერიუმები, რის გამოც აღნიშნული ონლაინგამოცემები შეირჩა:

- ✓ „ლიბერალი“, „ტაბულა“ და „ნეტგაზეთი“ საინფორმაციო-ანალიტიკური მედიაპლატფორმებია, რომლებიც აქტიურად აშუქებენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენებს; მათი გაშუქების არეალი საკმაოდ ფართოა - პოლიტიკიდან დაწყებული, გასართობი ამბებით დამთავრებული;
- ✓ სამივე გამოცემა ერთმანეთისგან იდეოლოგიურად განსხვავებულია. „ლიბერალი“ მემარცხენე იდეოლოგიას მისდევს, „ტაბულა“ ნეოლიბერალურ შეხედულებებს იზიარებს, მაშინ როცა „ნეტგაზეთს“ ცენტრისტული პოზიცია უჭირავს.

საკვლევი პერიოდი 6 თვეს მოიცავს - არჩეულია მონაკვეთი 2018 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. სწორედ ამ დროს დაიწყო საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია, რასაც მოჰყვა ცალკეული ინიციატივების წამოჭრა მთავრობის მხრიდან. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, ავლენდნენ თუ არა გამოცემები თავის იდეოლოგიურ ინტერესებს ამ პერიოდში მომხდარი ამბების მიმართ.

თავი 2. კვლევის შედეგები

§ 2.1. „ლიბერალი“ – liberali.ge

„ლიბერალი“ - საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბეჭდური და ონლაინგამოცემაა. ჟურნალის სახით 2009 წლიდან გამოვიდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ონლაინსივრცეში გადასვლის შემდეგ, „ლიბერალი“ ახალი ამბების გარდა, მკითხველს სთავაზობს რეპორტაჟებს, ანალიტიკურ სტატიებს, ჟურნალისტურ გამოძიებებსა და ბლოგებს. როგორც „liberali.ge“-ის საიტზე წერია, გამოცემა ცდილობს ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქოს ის თემები, რომლებსაც სხვა მედიასაშუალებები ნაკლებად აშუქებენ. უმთავრესად, ეს სფეროებია: განათლება, ჯანდაცვა, გარემო, სამართალი, ადამიანთა უფლებები, ეკონომიკური გარემო, ბიზნესი, ურბანისტიკა, რეგიონები.

მემარცხენე დისკურსისთვის დამახასიათებელია მაღალი მგრძნობელობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიმართ, რომლებიც ამა თუ იმ სახის ზეწოლას განიცდიან საზოგადოებისგან ეკონომიკური, გენდერული, რელიგიური თუ სხვა ნიშნით. ეს ეხმიანება „ლიბერალის“ მიერ აღებულ მაღალ სამოქალაქო პასუხისმგებლობას. მასალათა ანალიზისას ,,ლიბერალში“ გამოიკვეთა შემდეგი თემები:

- **შრომითი უფლებები, როგორც მემარცხენე დისკურსის ერთ-ერთი პლასტი**

მემარცხენე დისკურსის პლასტს წარმოადგენს შრომითი უფლებები. მაგალითად, შრომის უსაფრთხოება, ღირსეული შრომითი ანაზღაურება, შრომითი ექსპლუატაცია და ა.შ.. „ლიბერალი“ ხშირად წერს მშრომელთა საკითხებზე და ამის ერთ-ერთი

მაგალითია სტატია „47 გრადუს სიცხეში ვმუშაობთ“ - მინის ქარხნის თანამშრომლები დახმარებას ითხოვენ“ (http://liberali.ge/news/view/38194/47-gradus-sitskheshi-vmushaobt--minis-qarkhnis-tanamshromlebi-dakhmarebas-itkhoven), რომელიც 6 ივლისს გამოქვეყნდა. სტატია ეყრდნობა ქსნის მინის ტარის ქარხნის სამი თანამშრომლის ნაამბობს საწარმოში არსებული გაუსაძლისი პირობების შესახებ. სამიდან ორმა რესპოდენტმა საკუთარი ვინაობის გასაჯაროებისგან თავი შეიკავა. როგორც ირკვევა, საწარმოში ტემპერატურა 43-დან 47 გრადუსამდე მერყეობდა, თუმცა, ქარხნის ადმინისტრაციამ მხოლოდ ჩვეულებრივი ვენტილატორები მიუტანა თანამშრომლებს. თანამშრომელთა ნაამბობიდან იკვეთება, რომ მათ უწევთ ზეგანაკვეთური, 12-საათიანი გრაფიკით მუშაობა გაუსაძლის პირობებში, ყოველგვარი სახელფასო დანამატის გარეშე, ორმაგი დატვირთვით. მათ ასევე ხელს უშლიან შვებულების აღებაში და ეს უფლება განისაზღვრება არა თანამშრომელთა სურვილით, არამედ ლოტოტრონის მეშვეობით („ვის რომელი თვეც ამოუვა აუცილებლად იმ თვეში უნდა გავიდეს“).

„ლიბერალი“ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ერთ-ერთი რესპოდენტი, დარინა ტოტოევა, 2016 წლის მინის ქარხნის 29-დღიანი გაფიცვის მონაწილე და მინის პროფკავშირის წევრი იყო, რის გამოც სამსახურში დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. „გაფიცვის შემდეგ როცა დავბრუნდით საამქროში სხვადასხვა სახის დისკრიმიანციას ჰქონდა ადგილი. პირადად ჩემ მიმართ პროფკავშირული ნიშნით დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი. გადამზადებაზე უმაღლესი კრედიტები ავიღე და დაწინაურების ვარიანტი იყო, მითხრეს რომ დამაწინაურებდნენ თუ პროფკავშირებს დავტოვებდი. მივწერე პროფკავშირებს დისკრიმინაციის შესახებ. რეაგირება არ მოახდინეს და ისევ ისე გაგრძელდა ყველაფერი. პროფკავშები არ დავტოვე და შესაბამისად არ დამაწინაურეს“, - ამბობს დარინა.

„ლიბერალმა“ სტატიაში ბალანსი დაიცვა და ქარხნის ადმინისტრაციასთან, როგორც მეორე მხარესთან, დაკავშირება სცადა. იქვე გამოცემამ აღნიშნა, რომ ქარხნის მფლობელი - სააქციო საზოგადოება „მინა“, რომლის საამქროში არ ამონტაჟებდნენ სავენტილაციო სისტემას, მსოფლიოში სიდიდით მეხუთე მინის ტარის მწარმოებელი კომპანიის „შიშეჯამის“ მფლობელობაშია. ამით „ლიბერალმა“ მცირე მინიშნება გააკეთა, რომ თვითონ ადმინისტრაციას არ ჰქონდა სურვილი, დაეცვა შრომის სტანდარტები. გარდა ამისა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაზე დაყრდნობით, „ლიბერალი“ მიუთითებს, რომ 2014 წლის გამოცემული საწარმოო რეგლამენტის მიხედვით, „32.5 გრადუს ცელსიუსზე მუშაობა მხოლოდ ერთი საათით არის დაშვებული და ისიც მხოლოდ საოფისე პირობებში“. ამით გამოცემა საწარმოოს ადმინისტრაციის მიერ კანონის დარღვევაზე ირიბად საუბრობს.

ივლისის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად იქცა ტყიბულის მინდელის შახტში მომხდარი ტრაგედია. 16 ივლისს, გამთენიისას შახტში ყოფნისას 4 მეშახტე დაიღუპა, ხოლო 6 დაშავდა. „ლიბერალი“ ამ ტრაგედიას ფართოდ აშუქებდა. გამოცემამ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, თუ რამდენად დამოკიდებულია ქალაქი შახტზე, როგორ იყენებს ხალხის მდგომარეობას საწარმოს ადმინისტრაცია და როგორ რეაგირებს „საქნახშირი“ საკუთარი მუშების დაღუპვაზე.

16 ივლისს ლიბერალმა გამოაქვეყნა ინტერვიუ სათაურით „მითხრეს, თანხას მოვიტანთო - ასე ყიდულობენ სიცოცხლეს?!“ - ტყიბულში დაღუპული მეშახტის შვილი“ (http://liberali.ge/news/view/38439/mitkhres-tankhas-movitanto--ase-yiduloben-sitsotskhles--tyibulshi-daghupuli-meshakhtis-shvili). მასალას თან ერთვოდა ვიდეოც, რომელშიც მინდელის შახტში დაღუპული მიხეილ გამეზარდაშვილის შვილი გაგა ჰყვება, როგორ ცდილობდა „საქნახშირი“ კომპენსაციით ზიანის ანაზღაურებას. „მერე მოდიან და ფულზე მელაპარაკებიან. ფული აქ მეათეხარისხოვანია, როცა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაა. ეს ერთ ადამიანს კი არ ეხება. დამნაშავეები უნდა

დაისაჯონ და სასამართლოს გზით მივაღწევ ამას“. გაგას თქმით, მნიშვნელოვანია, იმ გარემოებებთან და იმ პირებთან ბრძოლა, რომლებიც იწვევენ მუშების დაღუპვას. ანუ, ინტერვიუში მითითებულია, რომ ბიზნესს, კერძოდ, კომპანია საქნახშირს, ურჩევნია, გადაიხადოს კომპენსაცია დაღუპული მუშების ოჯახებისთვის, ვიდრე უზრუნველყოს ღირსეული შრომითი პირობები. მნიშვნელოვანია ისიც, თუ ვისი შეხედულებების ტირაჟირებას ახდენს „ლიბერალი“, ვის ექსპერტულ მოსაზრებას იყენებს სიტუაციის შესაფასებლად, რადგან ესეც ერთგვარი იდეოლოგიური აქცენტია, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოხატავს გამოცემის პოლიტიკურ კურსს.

მაგალითად, ტრაგედიის მეორე დღეს, 17 ივლისს, როცა გამოძიების ფარგლებში შახტები დაიხურა, ,,ლიბერალმა“ გამოაქვეყნა არასამთავრობო ორგანიზაცია EMC-ის სოციალური უფლებების პროგრამების ხელმძღვანელის, ლინა ღვინიანიძის შეფასება ტყიბულში მეშახტეების დაღუპვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომენტარი ღვინიანიძემ ტვ პირველს მისცა, „ლიბერალმა“ საინტერესოდ ჩათვალა ამ კომენტარის ტირაჟირება თავის ინტერნეტგვერდზე (ნიუსი სათაურით - „ტყიბულში ნახშირის ღია კარიერული წესითმოპოვებაც უნდა შეჩერდეს - ლინა ღვინიანიძე“- http://liberali.ge/news/view/38451/tyibulshi-nakhshiris-ghia-karieruli-tsesit-mopovebats-unda-shecherdes--lina-ghvinianidze.).

ღვინიანიძემ მინდელის შახტში მომხდარი ტრაგედიაზე საუბრისას ყურადღება გაამახვილა შრომითი პოლიტიკის ცვლილების საჭიროებაზე. კერძოდ, მისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მინდელისა და ძიძიგურის შახტების დახურვა, არამედ იმ ადგილების დახურვაც, სადაც ნახშირს ღია კარიერული წესით მოიპოვებენ. საუბარია იმაზე, რომ „ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, რომელსაც ტყიბულში ნახშირის მოპოვების 45-წლიანი ლიცენზია აქვს, თავის სალიცენზიო ტერიტორიაზე პატარ-პატარა კომპანიებს აძლევს საშუალებას, მოიპოვოს ნახშირი. „ლიბერალმა“ ღვინიანიძის კომენტარიდან გამომდინარე გაიხსენა, რომ ნახშირის ღია კარიერული მოპოვების წესით, გამოცემა

ჯერ კიდევ 2 თვის წინ დაინტერესდა. კერძოდ, გამოცემა არკვევდა, თუ იყო პასუხისმგებელი „საქნახშირი“ ღია კარიერული მოპოვების წესით მოპოვებულ ლოკაციებზე არსებულ შრომით უსაფრთხოებაზე, თუ ეს კონტრაქტორი კომპანიების ვალდებულებაში შედიოდა. ამაზე ლიბერალმა ჯი-აი-ჯი ჯგუფის ფინანსური დირექტორისგან ზურაბ გენელიძისგან უარყოფითი პასუხი მიიღო.

სად იკვეთება ამ სტატიაში მემარცხენე ელემენტები? ღვინიანიძის კომენტარის მეშვეობით „ლიბერალმა“ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ „საქნახშირი“ იცილებს პასუხისმგებლობას და არ ზრუნავს იმ მუშების სიცოცხლეზე, რომლებიც მის მიერ მიქირავებულ მიწაზე ღია კარიერული წესით ნახშირს მოიპოვებენ. კერძოდ, აქ წამოწეულია საწარმოს სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი: ვინაიდან საწარმო სარგებელს იღებს ხანგრძლივი პერსპექტივით გადაცემული ნახშირის მდიდარი ტერიტორიით, მას ეკისრება პასუხისმგებლობაც, რომ კეთილსინდისიერად მოეპყროს დაქირევებულ მუშებს.

ბიზნესის პასუხისმგებლობის საკითხს ასევე ეხებოდა ყოფილი მეშახტის, ლევან ბეშკენაძის გამოსვლა ტყიბულში, 23 ივლისს გამართულ აქციაზე. ნიუსში სათაურით „ბეშკენაძე: GIG-მ პასუხი უნდა აგოს მაშინაც კი, თუ იგი შახტების მფლობელი აღარ იქნება“ (http://liberali.ge/news/view/38579/video-beshkenadze-GIGm-pasukhi-unda-agos-mashinats-ki-tu-igi-shakhtebis-mflobeli-aghar-iqneba) იკვეთება შემდეგი მემარცხენე აქცენტები:

- ✓ ქვეყანაში უნდა იყოს მიღებული შრომის უსაფრთხოების კანონი, რომელიც იქნება მორგებული არა ბიზნესკლანების, არამედ მუშების ინტერესებზე;
- ✓ საქნახშირმა პასუხი უნდა აგოს შახტებში დაღუპული და დაშავებული მეშახტეების გამო, ასევე იმ მდგომარეობაზე, რომელშიც ქალაქი აღმოჩნდა. რადგან ტყიბულელთა ყოფა დამოკიდებულია შახტის მუშაობაზე.

მემარცხენე აქცენტები ვლინდება ასევე ნიუსისა თუ სტატიის სათაურში. ამისი მაგალითია 18 სექტემბრის ნიუსი სათაურით „3000 ადამიანი შემოსავალს დაკარგავს, გაძვირდება პროდუქტი“ - ხორბლის იმპორტიორების პროტესტი“ (http://liberali.ge/news/view/39521/3000-adamiani-shemosavals-dakargavs-gadzvirdeba-produqti--khorblis-importiorebis-protesti), რომელიც ეხება ფინანსთა სამინისტროს ბრძანებას. იგი გულისხმობდა 2018 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ხორბლის შემოტანის აკრძალვით და საქონლის მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით შემოტანა-გატანას. აღნიშნული გადაწყვეტილება კონტროვერსიული აღმოჩნდა და ხორბლის იმპორტიორთა პროტესტი გამოიწვია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან მიმართებით.

ნიუსში ყურადღება გამახვილებულია საკითხის შემდგომ ასპექტებზე:

- ✓ სახელმწიფო ზღუდავს ხორბლის იმპორტიორებს, რის გამო 3000-მდე ადამიანისა და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება (საქმეს ართულებს ისიც, რომ იმპორტიორთა უმრავლესობას ბანკიდან სესხი აქვთ აღებული)
- ✓ ფინანსთა მინისტრის ბრძანებას მოჰყვება პურის, კვერცხის, ხორცის პროდუქტების გაძვირება, რაც აისახება მოსახლეობის მყიდველუნარიანობაზე.
- ✓ ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით განსაკუთრებით ზარალდება როგორც ამ სფეროში დასაქმებულები, ასევე საზოგადოების საშუალო და დაბალი ფენები, რომლებზეც მძიმედ აისახება სურსათზე ფასების მატება.
- ✓ ასევე იკვეთება, რომ მონოპოლიას დაიკავებენ იმპორტიორები, რომლებიც რკინიგზით ან ზღვით ახერხებენ ხორბლის ტრანსპორტირებას.

„ლიბერალმა“ ასევე წარადგინა ფინანსთა მინისტრის არგუმენტი, რომლის თანახმად, სახმელეთო გზით, ხორბლის შემოტანა რუსეთ-საქართველოს საზღვართან შეფერხებებს იწვევდა და ტურისტებს დისკომფორტი ექმნებოდათ. მაჭავარიანის არგუმენტს, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტს - ტურიზმს აფერხებდა, ,,ლიბერალმა“ დაუპირისპირა ის ფაქტი, რომ რუსეთის ტურიზმის სამსახური თავიანთ მოქალაქეებს მოუწოდებდა, თავი შეეკავებინა საქართველოში მოგზაურობისგან. აქედან იკვეთება, რომ სამინისტროს არ აქვს მყარი არგუმენტი, რათა შეაფერხოს ხორბლის ავტოსატრანსპორტით შემოტანა. ანუ, პუბლიკაციის მიხედვით, ივანე მაჭავარიანი თავისი ბრძანებით, ფაქტობრივად, აზარალებს ათასობით ადამიანს. ნიუსიდან ჩანს აქციის მონაწილეთა მოსაზრება, რომ „ხორბლისა და სიმინდის შემოტანაზე უფლების მოპოვება მსხვილი კომპანიების ინტერესებში შედის და კომპანიის წარმომადგენლები მთავრობასთან ახლო კავშირებს სათავისოდ იყენებენ“.

• დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შესახებ მემარცხენე-მემარჯვენე პოზიციების გაშუქება

„ლიბერალის“ მემარცხენე პოზიცია კონკრეტული საკითხის მიმართ შეიძლება იყოს გამოხატული არა მხოლოდ უშუალოდ გამოცემის მიერ, არამედ იმითაც, თუ რომელი რესპოდენტების პრიზმიდან ხდება საკითხის დანახვა და გაშლა. ამისი მაგალითია დაგროვებითი პენსიის რეფორმასთან დაკავშირებული სტატია სათაურით „საპენსიო რეფორმა თაობათა შორის სოლიდარობის იდეაზე უნდა იდგეს - სოცდემოკრატები“ (http://liberali.ge/news/view/38267/sapensio-reforma-taobata-shoris-solidarobis-ideaze-unda-idges--sotsdemokratebi). კანონპროექტის მიხედვით, საბაზისო 180-ლარიან პენსიას დაემატება დასაქმებულთა ფონდში წლების განმავლობაში დარიცხული თანხა,

რომელიც შედგება ყოველდღიური ხელფასის 2%-სგან, დამსაქმებლის მიერ დარიცხული დასაქმებულის ხელფასის 2%-სგან და სახელმწიფოს მიერ დასაქმებულის საშემოსავლო გადასახადიდან (20%) აღებული 2%-სგან, რაც ნიშნავს, რომ საბაზისო ხელფასს ყოველთვიურად დასაქმებულის ანგარიშზე 6%-იანი დანაზოგის აკუმულირება მოხდება. აღნიშნულ კანონპროექტზე სასაუბროდ „ლიბერალი“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, „სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარეს, ბექა ნაცვლიშვილს ესაუბრა. რესპონდენტი მემარცხენეა, რაც მოცემული ინტერვიუდანაც ჩანს. ის აკრიტიკებს საპენსიო რეფორმას, რადგან ფიქრობს, რომ კანონპროექტი ზედაპირულია, „თაობათა შორის სოლიდარობის პრინციპს გამორიცხავს“ და ის მეტად გაზრდის „ქვეყანაში არსებულ უთანასწორობას“. კიდევ ერთი მემარცხენე მესიჯი, რომელსაც ნაცვლიშვილი აჟღერებს, ეხება იმას, რომ კანონპროექტში არაა საუბარი იმ სოციალურ ჯგუფებზე, რომლებიც მძიმე და მავნე პირობებში მუშაობენ. სოცდემოკრატების აზრით, მსგავს სფეროში დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, კანონით დაშვებულზე 5 წლით ადრე გავიდნენ პენსიაზე, რაც ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

სტატიაში მითითებულია, რომ საპენსიო ფონდი იქნება ვალდებული, აქტივების მინიმუმ 70% სამართავად გადასცეს კერძო საინვესტიციო ფონდებს, ხოლო დარჩენილი 20 %-ის გამოყენება ფონდს შეუძლია მიმდინარე საპენსიო დანამატების გადასახდელად. სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშავებული პროექტი ეწინააღმდეგება კერძო საინვესტიციო ფონდების მიერ თანხების სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას, რათა არ მოხდეს სპეკულირება იმით, რომ საპენსიო თანხები მთლიანად იქნება მიმართული სახელმწიფოს შიდა ვალში ან/და ბანკების ანაბრებზე მოხვდება და ქვეყნის ეკონომიკას სარგებელს არ მოუტანს.

სტატიაში მოყვანილია სოციალ-დემოკრატების იდეა, რომ საპენსიო ფონდებში აკუმულირებული თანხის ნაწილი იყოს მიმართული საბინაო ფონდისკენ, „რომლის

სსიპ-ს დაარსდება საპენსიო სქემის ამუშავებისას“. მემარცხენე იდეოლოგიის მიმდევარი საპარლამენტო ფრაქციის აზრით, აკუმულირებული აქტივების მეშვეობით შეიძლება იყოს გატარებული ხელმისაწვდომი საცხოვრებლის პროგრამა, რომელიც დაეხმარება დაბალშემოსავლიან დასაქმებულებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს დაბალ პროცენტში შეიძინონ ბინა, რაც შეამცირებს დამოკიდებულებას ბანკების მიერ გაცემულ მაღალპროცენტიან სესხებზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაგროვებითი საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით „ლიბერალში“ გამოქვეყნდა საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველოს “ წევრის, დეპუტატ ზურაბ ჭიაბერაშვილის სტატია, რომელიც მემარჯვენე პოზიციას იკავებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჭიაბერაშვილი მოქმედ მთავრობას სოციალისტურს უწოდებს, რადგან, მისი აზრით, „ქართული ოცნება“ არ აპირებს გადასახადების დაწევას. ცნობისთვის, მემარჯვენეები ემხრობიან გადასახადების დაწევასა და მეტ ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას (მაგალითად, ის, რომ ბაზარს არ სჭირდება დამატებითი რეგულაციები მთავრობისგან, რადგან კონკურენცია სიტუაციას ისედაც დაალაგებს).

• მარგინალიზებული ჯგუფები და მათი სოციალიზაციის პრობლემა მემარცხენე აქცენტებით

2018 წლის 4 ივლისს „ლიბერალმა“ გააშუქა არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეპა პლიუსის“ კვლევა, რომელიც შეისწავლიდა თბილისში ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებებს (http://liberali.ge/news/view/38170/ra-sachiroebebi-aqvt-transgender-adamianebs-saqartveloshi--kvleva). მართალია, კვლევას უშუალოდ „ლიბერალი“ არ ატარებდა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რაზე ამახვილებს ყურადღებას ონლაინგამოცემა, რა დასკვნები გამოაქვს კვლევიდან. მაგალითად, „ლიბერალი“

ყურადღებას აქცევს კვლევის იმ ნაწილს, სადაც საუბარია იმ ბარიერებზე, რაც ხელს უშლის ტრანსგენდერი ადამიანების სოციალიზაციას. აქ ვლინდება ის სტიგმა, რომლის გამოც ტრანსგენდერი ადამიანები მეტად ჩაკეტილ, ღამის ცხოვრების წესს მისდევენ. მაგალითად, რესპონდენტები ამბობენ, რომ „ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა მათთვის ძალიან მწირია, განსაკუთრებით, სახელმწიფო და კერძო კლინიკების ბაზარზე“. რესპონდენტებს არ გააჩნიათ ნდობა პოლიკლინიკების მიმართ. არსებობს მხოლოდ სამი ორგანიზაცია, რომელიც სთავაზობს სამედიცინო მომსახურებას. „ლიბერალი“ ასევე გამოყოფს კვლევის იმ ნაწილს, რომელშიც ვლინდება, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავია, რომ ტრანსგენდერი ადამიანები აღარ მიიჩნევენ ძალადობად იმ ფაქტებს, რომლებიც სისტემატურ ხასიათს არ ატარებს. გარდა ამისა, ნახსენებია პოლიციის დამოკიდებულება ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია - დაწყებული პოლიციელთა დაბალი მგრძნობელობით საკითხის მიმართ, დამთავრებული მათი მხრიდან ზეწოლით, დაცინვით, შანტაჟითა და მანიპულაციებით, ფიზიკური ძალადობით. ნახსენებია ანტიდისკრიმინაციული კანონიც, რომლის მიღებამაც არსებითად არაფერი შეცვალა ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრებაში.

მასალიდან იკვეთება შემდეგი აქცენტები, რომლებიც დამახასიათებელია მემარცხენე დისკურსისთვის. კერძოდ:

- ✓ სოციალური სტიგმა, რომელიც ხელს უშლის ტრანსგენდერ ადამიანებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- ✓ პოლიტიკური ნების არქონა, რაც გამოიხატება ანტიდისკრიმინაციული კანონის უმოქმედობით.

- ✓ სისტემა მოქმედებს ტრანსგენდერი ადამიანების წინააღმდეგ. ამის მაგალითია პოლიციური სისტემა, რომელიც არაა მიმართული მათ დასაცავად.

3 სექტემბერს „ლიბერალმა“ გააშუქა ორგანიზაცია „აკესოს“ კვლევა, რომელიც ნარკომომხმარებელი ქალების ყოველდღიურობას ეხებოდა. სტატიაში სათაურით „ფრაგმენტები ნარკომომხმარებელი ქალების ცხოვრებიდან“ (http://liberali.ge/articles/view/39218/fragmentebi-narkomomkhmarebeli-qalebis-tskhovrebidan) აღწერილია, რომ გარდა საზოგადოებაში არსებული სტიგმისა, ნარკომომხმარებელი ქალები აწყდებიან ჩაგვრას გენდერული ნიშნით, ასევე სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც არ აქვს პოლიტიკური ნება, ხელი შეუწყოს ამ ქალების სოციალიზაციას.

კვლევაში, რომელიც „ლიბერალმა“ გააშუქა, 27-54 წლის 46 ქალი რესპონდენტი მონაწილეობდა. მათ შორის მეტადონით ჩანაცვლებითი პროგრამის, შპრიცების პროგრამის ბენეფიციარები, აგრეთვე, ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ქალები.

„ლიბერალმა“ ყურადღება გაამახვილა კვლევის იმ ნაწილზე, რომელშიც ასახულია, თუ რა გავლენას ახდენს რეპრესიული ნარკოპოლიტიკა და სოციო-კულტურული ფაქტორები ნარკომომხმარებელი ქალების მიერ სამედიცინო თუ სხვა სახის სერვისებზე ხელმისაწვდომობას. აღნიშნული ასპექტები ხელს უშლის ნარკომომხმარებელ ქალებს, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მიმართონ სამართალდამცველ ორგანოებს, რადგან საზოგადოებაში არსებული სტიგმა ქალების მიერ ნარკოტიკების მიღებასთან დაკავშირებით მათ სხვა, არამომხმარებელ ქალებთან არათანაბარ პირობებში ამყოფებს. „ჩვენ არავის შევეცოდებით. ჩვენ საზოგადოებისთვის ქალები არ ვართ“, - ნათქვამია კვლევაში. ასევე, წერია, რომ

„მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის ბენეფიციარი ქალები ხშირად ყოფილან ფიზიკური/სიტყვიერი ძალადობის მსხვერპლნი, მათ შორის, თავად სერვისის მიმღები კაცი ბენეფიციარების მხრიდან“. შესაბამისად, აქ ყურადღება გამახვილებულია, რომ სახელმწიფოს არ აქვს ნება, ნარკომომხმარებელი ქალების მდგომარეობა ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს და ამ ქალების უფლებები მაშინაც კი ილახება, როცა ისინი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობენ.

აქედან გამომდინარე, სტატიაში მოხმობილია სახალხო დამცველის რეკომენდაციები. ერთ-ერთ მათგანში აღნიშნულია, რომ საჭიროა ნარკომომხმარებელი ქალების უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით, მათ გენდერულ საჭიროებებზე მორგებული სამკურნალო სერვისები შემუშავდეს. ამ პრობლემასთან საბრძოლველად კი უნდა შემუშავდეს სახელმწიფო სტრატეგია, ანუ, „ლიბერალმა“ გამოიყენა ომბუდსმენის ის არგუმენტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაეხმაროს საზოგადოების გარიყულ ჯგუფს.

სისტემის მიერ არასასურველი მახასიათებლების შენიღბვას, მათ გადამალვას ეძღვნება შშმ-აქტივისტის, ესმა გუმბერიძის ბლოგი „„ოთარაანთ ქვრივი“, ანუ რატომ ვერ ვიმჩნევთ შეზღუდულ შესაძლებლობებს?“ (http://liberali.ge/blogs/view/39268/otaraant-qvrivi-anu-ratom-ver-vimchnevt-shezghudul-shesadzleblobas). ბლოგის მთავარი აზრია, რომ სისტემა მოწოდებულია, შშმ პირები გადამალოს, რითაც ახერხებს ლოზუნგით „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“.

გუმბერიძის თქმით, ამ ლოზუნგის ტირაჟირებით თვალს ხუჭავენ იმ პრობლემებზე, რომლებიც შშმ პირებს აწუხებთ, ანუ, ხდება მათი ერთგვარი მარგინალიზაია. შეზღუდული შესაძლებლობების არსებობის უარყოფით კიდევ უფრო ღრმავდება ხიდჩატეხილობა შშმ პირებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის.

შესაბამისად, იკვეთება შემდეგი მემარცხენე მესიჯები:

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების არსებობის უარყოფით საზოგადოება და შესაბამისად, სახელმწიფო ერთგვარად პასუხისმგებლობას იცილებენ, იზრუნონ შშმ პირობების საჭიროებების უზრუნველყოფაზე.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების არსებობის უარყოფით, ანუ ხილვადობის პოლიტიკის არარსებობის გამო, შშმ პირები ისევ რჩებიან გარიყულად, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას მათ მიმართ.

- „**ფემინსტრიმი**“

აღსანიშნავია, რომ „ლიბერალი“ თავის სივრცეს უთმობს პროექტებს, რომლებიც თავისი შინაარსით მემარცხენე იდეებს ატარებს. ამის მაგალითია „ფემინსტრიმი“ - არასამთავრობო ორგანიზაციების ქალთა ფონდი საქართველოში და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის ერთობლივი პროექტი. „ფემინსტრიმი“ პოდკასტების სერიაა, სადაც რამდენიმე ავტორი სხვადასხვა კუთხიდან განიხილავს გენდერულ უთანასწორობასა და ქალთა ჩაგვრას საზოგადოებაში.

პირველი პოდკასტი, რომელიც მემარცხენე აქცენტებს ატარებს, ეხებოდა ლგბტ აქტივისტს ზუგდიდიდან -ცაბუნია ვირთაგავას (http://liberali.ge/articles/view/41820/feminstrimi--lgbt-aqtivisti-zugdididan). პოდკასტის ავტორმა - მარი შარანგიამ გამოჰყო ჩაგვრის ორი სისტემა - ერთ-ერთი მათგანი პატრიარქალური, მასკულინური სისტემაა. ვირთაგავას აზრით, ქალი, რომელიც ბედავს და ხმას იღებს, ორმაგ წინააღმდეგობას აწყდება, ხოლო ქალი აქტივისტებისგან განსხვავებით კაცი-უფლებადამცველები მეტად უსაფრთხოდ არიან, რადგან „კაცისგან ხმის ამაღლება ჩვენს საზოგადოებაში მიღებულია“. მეორე მჩაგვრელი სისტემა, რომელზეც საუბარია პოდკასტში, არის პოლიციური სისტემა.

ვირთაგავა აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობები ვლინდება პოლიციის დამოკიდებულებაში ლგბტ-თემის მიმართ : „ჩაგვრა, დამცირება, შეურაცხყოფა ლგბტ თემის წევრებისთვის ლამის ყოველდღიურობად არის ქცეული. აღნიშნულ პოდკასტში მითითებული მემარცხენე აქცენტები მიანიშნებს, რომ ქალები და ლგბტ-თემი არ განიხილებიან თანასწორ მოქალაქეებად საზოგადოებაში, რომ არსებული კანონების მიუხედავად, საზოგადოებაში არსებული სტიგმა თუ სტერეოტიპული შეხედულებები ხელს უშლის გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს, დაიცვას საკუთარი უფლებები ან ხმა აიმაღლოს საკუთარ პრობლემებზე.

მეორე პოდკასტი, რომელიც დატვირთულია მემარცხენე აქცენტებით, ეხება კოსმეტიკური ინდუსტრიის, სილამაზის სტანდარტებისა და ზოგადად, კაპიტალიზმის მიერ დაკანონებულ ჩაგვრას. ამაზე თავად პოდკასტის სათაურიც მიანიშნებს - „ვინ ხეირობს სილამაზის სტანდარტებით და ვის ჩაგვრაზე დგას კოსმეტიკური ინდუსტრია“ (http://liberali.ge/articles/view/42016/feminstrimi-vin-kheirobs-silamazis-standartebit-da-vis-chagvraze-dgas-kosmetikuri-industria).

ავტორის აზრით, არსებული სილამაზის სტანდარტები, რომლებსაც კაპიტალიზმი საკუთარი მოგებისთვის იყენებს, ჩაგვრის ობიექტებად აქცევს ქალებსა და ცხოველებს. მაგალითად, კონსუმერისტული კულტურა წარმოშობს ესთეტიკურ ფაშიზმს, რაც უფრო მძიმედ აისახება ქალების სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რადგან კონსუმერიზმი უბიძგებს მომხმარებლებს, ამ შემთხვევაში ქალებს, კი არ მიიღონ საკუთარი სხეული, საკუთარი თავი, არამედ შეიძინონ არასაჭირო ნივთები, ჩაიტარონ არასაჭირო პროცედურები, რათა საზოგადოებისთვის მეტად მისაღები და მომხიბვლელი გახდნენ.

ავტორი მემარცხენე პრიზმიდან უყურებს გვიანდელი კაპიტალიზმისა და კონსუმერიზმის ზეგავლენას ქალებზე. პროდუქცია ქალებისათვის ბევრად ძვირია,

ხოლო რეკლამა და „თავსმოხვეული მითები სილამაზის შესახებ“ მათ წნეხის ქვეშ ამყოფებს, რაც მომგებიანია სილამაზის ინდუსტრიაში შემავალ კომპანიებისათვის. ავტორი აჟღერებს მემარცხენე სიდეას, რომლის მიხედვითაც კანონმდებლობა მხარს უმაგრებს სილამაზის ინდუსტრიას, რადგან არ ავალდებულებს ბიზნესს, გამოიყენოს ტკივილგამაყუჩებლები ცხოველების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ასევე არ კრძალავს ქიმიური ნივთიერებების ცხოველებზე დასაშვებზე გაცილებით მეტი ხნით დატოვებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცხოველთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

• სოლიდარობის იდეა მემარცხენე დისკურსში

  მემარცხენე დისკურსისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სოლიდარობის იდეა, რომელიც საზოგადოებას აერთიანებს. ბლოგში „სამოქალაქო აქტივიზმი - „მოდით, დავიწყოთ ბოდიშით“ (http://liberali.ge/blogs/view/41787/samoqalaqo-aqtivizmi--modit-davitsyot-bodishit), ავტორი, დავით გურული მსჯელობს ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგისთვის სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობაზე მიუხედავად ამისა, ბლოგერი სვამს კითხვას, რამდენად ქმედითია სამოქალაქო აქტივიზმი არსებული ლიბერალური დემოკრატიის პირობებში და ცვლის კი ის პოლიტიკურ სისტემაში არსებულ ხარვეზებს.

„თუ უახლეს ისტორიას გადავხედავთ და შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ ვნახავთ, რომ პოლიტიკური სისტემა ახდენს პროტესტისა და სიტყვის თავისუფლების სხვადახვა ფორმების დაშვებას. მაგრამ, მეორე მხრივ, აქცევს რა ამ აქტივობას საკუთარი წესებისა და დაშვებების ჩარჩოებში, ფაქტობრივად, მას გარდასახავს საკუთარ ნაწილად. რჩება შეგრძნება, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ

გამოსული ადამიანთა ჯგუფები, ხელს უწყობენ არა პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლასა და პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას, არამედ პირდაპირ სთავაზობენ ძალაუფლებაში მყოფ პირებს, საკუთარ ანგარიშზე დაიწერონ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მათი (აქტივისტების) მოთხოვნების ნიადაგზე შეიძლება განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში, სისტემა თითქოს კი არ ემიჯნება მის წინააღმდეგ გაჟღერებულ მოთხოვნებს, არამედ ის ირგებს მოკავშირის როლს, და ფაქტობრივად იძულებით მიღებულ გადაწყვეტილებებს საკუთარი პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად იყენებს. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო აქტივიზმი არ მოიცავს მოსახლეობის უმრავლესობას და იგი ხშირად პროცენტულად ძალიან მცირე ჯგუფების აქტივობისა და მონდომების შედეგად წარმოიშვება“, - წერია ბლოგში.

გურულმა მაგალითად მოიყვანა 2018 წლის 12-13 მაისის საპროტესტო გამოსვლები, როცა კლუბების - ,,ბასიანისა“ და ,,გალერის“ დარბევის შემდეგ ახალგაზრდებმა პოლიციური რეჟიმისა და რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმეგ აქციები გამართეს თბილისის პარლამენტთან.

ბლოგის ავტორის თქმით, აქციის მონაწილეთა გაბრაზება ლეგიტიმური იყო, თუმცა, პროტესტს არ ჰქონდა ერთიანი მესიჯი, რაც გამომსვლელთა გახლეჩას უწყობდა ხელს.

ავტორი აქციის მონაწილეთა იმ ნაწილს აკრიტიკებს, რომლის პროტესტი შემოიფარგლება მხოლოდ ნარკოპოლიტიკის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით, იმის გამო, რომ სხვა სოციალურ პრობლემებზე მათ რეფლექსია არ აქვთ. გურულის აზრით, მაისის აქციებზე გამოსულთა ნაწილი ლიბერტარიანულ მიდგომას მისდევს, რომლის თანახმად, საკუთარი სხეული მათი საკუთრებაა და ნებისმიერი სახის ჩარევა (მაშინაც კი, თუკი პოლიციელი შეეცდება, ხელი შეუშალოს თვითმკვლელობაში) ცალსახა ბოროტებად აღიქმება. ამაში ბლოგერი ნეოლიბერალური დღის წესრიგის მანკიერ

პრაქტიკას ხედავს, რომელიც ებღაუჭება მხოლოდ ინდივიდს, მის საჭიროებასა და თავისუფლებას და არა სამოქალაქო სოლიდარობის, ერთობის იდეას.

აქ აქცენტები კეთდება იმ საკითზე, რომ იდეოლოგიური გახლეჩა მაისის აქციის წევრებს შორის (მაგალითად, სრული თავისუფლების მხარდამჭერებსა და მშრომელთა უფლებებისა და შრომითი რეგულაციების მხარდამჭერებს შორის) ხელს უშლის სოლიდარობის იდეის გატარებასა და მძიმე სოციალური საკითხების ბოლომდე გატანას. გურული პრობლემას ხედავს სწორედ ლიბერტარიანულ სისტემაში, რომელიც ნებისმიერ სოციალურ პრობლემას დაიყვანს ინდივიდამდე, რომელმაც ეს პრობლემა უნდა დაძლიოს (რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობას სრულიად ეხსნება პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე).

გურული, რომელიც ბლოგში არსებითად მემარცხენე დისკურსს ავითარებს, გამოსავალს ხედავს „ძლიერი, ფუნდამენტური იდეების ირგვლივ გაერთიანებულ მოძრაობაში“, რომლის მონაწილეები შეთანხმებული იქნებიან ძირეულ პრობლემებსა და მათი შეცვლის გზებზე.

გურულის ბლოგს იდეოლოგიურად მიესადაგება კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდეს ბლოგპოსტი „როგორ მოგვპარეს პოლიტიკა“ (http://liberali.ge/blogs/view/41011/rogor-mogvpares-politika). ავტორი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ პოლიტიკურმა ელიტამ სამართლიანობის იდეა აქცია ინსტრუმენტად, რომელიც „მის პირად კეთილდღეობას უნდა ემსახუროს“ იმის მაგივრად, რომ სამართლიანობის მეშვეობით ხელი შეუწყოს სამართლიანი საზოგადოების შექნას. მისი თქმით, სამართლიანობის სახელით ამოფარებული ელიტა იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა კომპრომატებით ბრძოლა, შანტაჟი, კორუფცია თუ ზეგავლენებით ვაჭრობა. შესაბამისად, პოლიტიკური ელიტა ხდება არა მოსახლეობის საჭიროებების გამტარი, არამედ იქცევა ჯგუფად, რომელიც მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვის.

ბლოგერის აზრით, ასეთ ვითარებაში პოლიტიკა აღარ წარმოადგენს სამართლიანობის მიღწევის მექანიზმს, რადგან ელიტების ასეთი ქმედება სპობს როგორც ზოგადად პოლიტიკას, ასევე „საერთოზე ზრუნვისა და მოქალაქეთა მიერ ურთიერთმხარდაჭერის იდეას“. აქაც, გურულის ბლოგის მსგავსად, იკვეთება სოლიდარობის, თანაგანცდის არსებობის საჭიროება, რომელმაც უნდა გაარღვიოს მანკიერი წრე და ხალხი დააბრუნოს პოლიტიკაში.

§ 2. 2. „ტაბულა“ – tabula.ge

ვებგვერდი,,ტაბულა“ 2010 წლის მაისიდან ფუნქციონირებს. საიტზე მითითებული აღწერის მიხედვით, გამოცემა საზოგადოებას სთავაზობს ღია ფორუმს ინფორმირებული დისკუსიებისთვის, რაც დაეხმარება საქართველოს მოქალაქეებს, დაიცვან თავიანთი უფლებები.

სარედაქციო პოლიტიკა პროდასავლურია, თუმცა, ამის მიუხედავად, „ტაბულა“ ორიენტირებულია, რაც შეიძლება მრავალფეროვანი მოსაზრებები შესთავაზოს მკითხველს. გამოცემას მემარჯენე იდეოლოგიისადმი გადახრილ მედიაპლატფორმად მიიჩნევა. სწორედ ამიტომ მასალებში ნაკლებად ვხვდებით მემარცხენეობისათვის საჭირო ელემენტებსა და საკითხების მემარცხენე ჭრილში განხილვას. აქედან გამომდინარე, მწირია მასალა, რაც ამბების კატეგორიზებას შეუძლებელს ხდის. ამრიგად, განვიხილავთ იმ ამბებს, რომლებსაც „ტაბულა“ საკვლევი პერიოდის განმავლობაში აშუქებდა. პუბლიკაციებში იკვეთება შემდეგი მთავარი თემები:

- **მემარცხენე იდეების კრიტიკა**

აღსანიშნავია, რომ ,,ტაბულა“ გამოირჩევა არა იმდენად მემარცხენე დისკურსის გატარებით, რამდენადაც მისი კრიტიკით. ამის ერთ-ერთი მაგალითია არჩილ იაკობაშვილის ბლოგი სათაურით „შეაბრუნა თუ არა ოცნებამ ეკონომიკური-პოლიტიკური პარადიგმა რამდენიმე გრადუსით? (http://www.tabula.ge/ge/story/134429-sheabruna-tu-ara-ocnebam-ekonomikur-politikuri-paradigma-ramdenime-gradusit).

კერძოდ, ავტორი აკტირიკებს „ოცნების“ მთავრობის მისწრაფებას, მეტი რეგულაცია დაუწესოს ბაზარს. იაკობაშვილს მოაქვს 2018 წლის იანვარ-მაისის პერიოდში 6.1%-იანი ეკონომიკური ზრდის მონაცემები, რომლებსაც ავტორი უკავშირებს მთავრობის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გადახვევას მემარცხენე პარადიგმისგან. ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც, ავტორის აზრით, უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში „რეკორდული“ ეკონომიკური ზრდა გამოიწვია, არის ზედმეტობით გადახდილი დღგ-ს სწრაფად უკან დაბრუნების მექანიზმის ამოქმედება, რამაც 2018 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ხაზინის უკანასკნელი მონაცემებით 225 მლნ ლარი შეადგინა, და „რომელიც კერძო სექტორმა ბიზნესის გაფართოებაში და გამოშვების გაზრდაში გადაამისამართა“.

იაკობაშვილის თქმით, ეკონომიკური მიმართულების ცვლილებამ შეუწყო ხელი ექპორტის ზრდას, ასევე შიდა მოხმარებისა და სამშენებლო ინვესტიციების წახალისებას. ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად, მთავრობამ უნდა შეამციროს დღგ–ს და საშემოსავლოს განაკვეთების 15%–მდე, აქციზური გადასახადი ნავთობპროდუქტებზე და ზოგადად, წარმოების ფიქსირებული ხარჯები. ეს პოზიცია დამახასიათებელია მემარჯვენეებისთვის, რომლებიც აკრტიკებენ მემარცხენეებს ზედმეტი რეგულაციების დაწესებაში, რადგან, მათი აზრით, ეს ეკონომიკის ზრდას, მის განვითარებას აფერხებს.

ჭარბვალიანობასაც იაკობაშვილი უკავშირებს მთავრობის „მფლანგველ საბიუჯეტო პოლიტიკას“, რადგან „წლიდან წლამდე უკუგება მცირდებოდა იმ პროექტებიდან, რომელთა დაფინანსებისთვისაც ხდებოდა ვალის აღება“. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ჭაბვალიანობას რეგულაციები ვერ გადაჭრის და ამისი ერთადერთი გზაა ეკონომიკური ზრდა და უკუგების მატება, რაც მიიღწევა გადასახადების შემცირებით, ანუ ეკონომიკური პოლიტიკის მარჯვნივ გადახვევით. მეორე მაგალითი ეხება ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარის, გია ჟორჟოლიანის ინიციატივას, რომლის თანახმად, მხოლოდ 2500 ლარის ზემოთ თანხა უნდა დაიბეგროს 30%-ით. აღნიშნულ მოსაზრებას „ტაბულამ“ დაუპირისპირა ჟურნალისტ შოთა დიღმელაშვილის პოზიცია, რომელიც მან ფეისბუკზე გამოხატა. „ტაბულამ“ დიღმელაშვილის ფეისბუკ პოსტს დაურთო სათაური „დიღმელაშვილი: ვისაც 2500 აქვს ხელფასი, 5-ჯერ მეტს იხდის იმავე სერვისში, ვიდრე ვისაც 500 აქვს“ (http://www.tabula.ge/ge/verbatim/134663-dighmelashvili-visac-2500-aqvs-xelfasi-5-jer-mets-ixdis-imave-servisshi-vidre-visac), რაც გამოხატავს ჟურნალისტის გამოხმაურების მთავარ იდეურ ღერძს.

ჟორჟოლიანის ინიციატივა გულისხმობს პროგრესული გადასახადის შემოღებას, რომლის თანახმად, მაღალშემოსავლიანი მოქალაქეები ვალდებული არიან, მეტი თანხა შეიტანონ ბიუჯეტში. მემარცხენეები ასეთ მიდგომაში სოციალური პასუხისმგებლობის იდეას ხედავენ, რადგან მაღალშემოსავლიანი მოქალაქეები ამ გზით თავის თანხას უნაწილებენ დაბალშემოსავლიანებს, ფაქტობრივად, ზრუნავენ მათ კეთილდღეობაზე. მემარჯვენეები პროგრესულ გადასახადებს არ ემხრობიან, რადგან ეს სოციალურ უსამართლობად მიაჩნიათ (ისიც გასათვალისწინებელია, რომ მემარჯვენეები ზოგადად, დაბალ გადასახადებს ემხრობიან).

ამ პოსტიდან გამომდინარე, დიღმელაშვილი ფიქრობს, რომ უსამართლობაა, რომ მაღალშემოსავლიანი მოქალაქე ვერ იღებს იმ მომსახურებას, რომელსაც იმსახურებს

გადასახადებიდან გამომდინარე.

  მთავრობის მემარცხენე ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა იკვეთება ნიუსში სათაურით „გიორგი ქობულიას დაპირება „აგროპოლისების“ შექმნაა“ (http://www.tabula.ge/ge/story/134729-giorgi-qobulias-dapireba-agropolisebis-sheqmnaa). ნიუსში საუბარია იმჟამად ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატის, გიორგი ქობულიას ინიციატივაზე, რომელიც გულისხმობდა ქალაქის ტიპის ობიექტების, ე.წ. „აგროპოლისების“ შექმნას , სადაც მოხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვა-გადამუშავება. როგორც ქობულია ამბობდა, სოფლის მეურნეობა „მხოლოდ ინდუსტრიალიზაციისა და აგროპოლისების მეშვეობით“ განვითარდებოდა.

 აღნიშნულ ინფორმაციას მოჰყვება განმარტება „ტაბულასგან“, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიუხედავად დიდი ინვესტიციებისა, რომლებსაც მთავრობა დებს სოფლის მეურნეობაში, დარგში ეკონომიკური ვარდნა შეინიშნება (მარტო 2018 წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობის სექტორის ეკონომიკურმა ვარდნამ 2.2%-ს შეადგინა). ასევე, ნათქვამია, რომ სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციისა და მოდერნიზაციის გარეშე ეს დარგი ვერ განვითარდება, ვერ დაიძლევა სოფლად სიღარიბის დონე. ეს კიდევ ერთი მინიშნებაა იმაზე, რომ სახელმწიფომ არასწორი ნაბიჯი გადადგა, როცა თავის თავზე აიღო სოფლის მეურნეობის განვითარება. 22 ივლისს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. აღნიშნულ ნიუსს „ტაბულამ“ დაურთო 10 მიზეზი (http://www.tabula.ge/ge/story/134996-parlamentma-mesame-mosmenit-miigho-kanoni-dagrovebiti-pensiis-shesaxeb), რის გამოც აღნიშნულ კანონპროექტს აკრიტიკებდნენ. პუნქტებში იკვეთება როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე აქცენტები. მაგალითად, მემარცხენეთა კრიტიკის ნიმუშს წარმოადგენს არგუმენტი, რომ „რეფორმა სოციალური უთანასწორობის ზრდას უწყობს ხელს“. ამ ვარაუდით, საპენსიო რეფორმისგან ფინანასურად მეტად იხეირებენ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული და მაღალშემოსავლიანი მოქალაქეები, ვიდრე

უმუშევრები და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები, რაც მათ შორის ეკონომიკურ უთანასწორობას გაზრდის: „მომავალში სახელმწიფო დასაქმებულ და მაღალშემოსავლიან მოქალაქეებს თანხობრივად უფრო მეტ კონტრიბუციას გაუკეთებს პენსიაში, ვიდრე უმუშევრებს და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობა გაიზრდება“.

რაც შეეხება მემარჯვენე კრიტიკას, ის ეხება საგადასახადო ტვირთის ზრდას დასაქმებაზე (ხელფასიდან გადასახადი 20%-დან 23.2%-მდე იზრდება), რაც სამუშაო ძალას გააძვირებს და ამით ბიზნესს დააზარალებს. სწორედ ამ არგუმენტებს მოიმარჯვებს შოთა ტყეშელაშვილი თავის ბლოგში „საპენსიო რეფორმა - სქემა, რომლითაც მთავრობას თქვენი ფულის მითვისება შეეძლება“ (http://www.tabula.ge/ge/story/126318-sapensio-reforma-sqema-romlitac-mtavrobas-tqveni-fulis-mitviseba-sheedzleba).

შედარებისთვის, ქართული ოცნების საპენსიო რეფორმისგან განსხვავებით, ევროპული საქართველოს მოდელი უფრო დადებით ტონშია განხილული (http://www.tabula.ge/ge/story/137791-evropulma-saqartvelom-mosaxleobas-alternatiuli-sapensio-modeli-tsarudgina). კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ ჯობნის ის სამთავრობო მოდელს. გარდა ამისა, ევროპული საქართველოს მოდელის ერთ-ერთ უპირატესობად განიხილება ის, რომ აღნიშნული მოდელი გადასახადების შემცირებას შეუწყობს ხელს: „ამ სისტემის ამოსავალი წერტილი მოქალაქეთა ინდივიდუალური არჩევანია. აღნიშნული სისტემა დაბალშემოსავლიან მოსახლეობას საპენსიო ასაკისთვის გაცილებით დიდი თანხის შეგროვების შესაძლებლობას აძლევს, ვიდრე ქართული ოცნების სისტემა. ამის მიზეზია ის, რომ ევროპული საქართველოს მოდელი ათიათასობით მოქალაქეს საშემოსავლო გადასახადის სრულად დაბრუნების შესაძლებლობას აძლევს. წარმოდგენილი სისტემა ყველაზე ახლოს ახალ

ზელანდიურ საპენსიო სისტემა Kiwisaver-თან დგას“, - წერია სტატიაში.

თუ ოცნების მოდელის განხილვისას იყო მითითებული, რომ საპენსიო რეფორმა კიდევ უფრო გააღრმავებს სოციალურ უთანასწორობას და, ფაქტობრივად, ახალ გადასახადს წარმოადგენს, ევროპული საქართველოს მოდელის შემთხვევაში ტონი შერბილებულია, რადგან მათი მოდელი ემყარება პირად არჩევანს. მოგეხსენებათ, მემარჯვენე დისკურსი ინდივიდის საჭიროებაზე ტრიალებს. სწორედ ინდივიდის არჩევანს, საკუთარი სურვილით ჩაერთოს საპენსიო რეფორმაში, „ტაბულა“ „ევროპული საქართველოს“ მოდელის ერთ-ერთ დადებით მხარედ ასახელებს.

- **ანტიდემპინგური კანონი**

„ტაბულას“ მემარჯვენე კრიტიკის ობიექტი ასევე გახდა საქართველოს მთავრობის მიერ ანტიდემპინგურ კანონზე მუშაობა, რაც ითვალისწინებს საგარეო ვაჭრობის შემზღუდველ ნორმებს, რომლებიც ბარიერს უწესებს უცხოურ კომპანიებს. ეს, თავის მხრივ, ავალდებულებს უცხოურ კპმპანიებს თავიანთი ნაწარმი ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროდუქციაზე ნაკლებ ფასად არ გაყიდონ.

სტატიაში „მაჭავარანი: მიმაჩნია, რომ ანტიდემპინგური კანონმდებლობა ჩვენს არსენალში უნდა იყოს“ (http://www.tabula.ge/ge/story/136275-machavariani-mimachnia-rom-antidempinguri-kanonmdebloba-chvens-arsenalshi-unda-ikos) ,,ტაბულას“ ჟურნალისტმა ფინანსთა მინისტრს სწორედ ამ საკითხზე ისაუბრა. კითხვებში აქცენტია გაკეთებული იმაზე, რომ მორიგი რეგულაცია ქვეყანაში ბიზნესგარემოს გააუარესებს. ასევე იკვეთება ვარაუდი, რომ აღნიშნული ინიციატივა მოსახლეობის მსყიდველობაუნარიანობასაც შეამცირებს.

19 სექტემბერს „ტაბულაში“ გამოქვეყნდა ნიუსი, რომლის თანახმად „მთავრობამ შესაძლოა 170 ათას საქართველოს მოქალაქეს აზარტული თამაშები აუკრძალოს“

(http://www.tabula.ge/ge/story/137088-mtavrobam-shesadzloa-170-atas-saqartvelos-moqalaqes-azartuli-tamashebi-aukrdzalos). ნიუსი ეხება ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლითაც აზარტული ტამაშის მინიმალური ასაკობრივი ცენზი 21 წლიდან 25 წლამდე გაიზრდება, ამ ასაკობრივი ჯგუფის სემადგენლობა დაახლოებუთ 170 000.

,,ტაბულამ" აღნიშნა, რომ ამ ცვლილების მიუხედავად, მაინც ადვილი იქნება ქართული ონლაინსამორინეს ჩანაცვლება უცხოური ონლაინსამორინეთი, და რომ აზარტული თამაშების ბიზნესი მზარდია. ნიუსში მითითებულია, რომ სათამაშო ბიზნესში დაახლოებით 6 000 ადამიანი მუშაობს. ამით, „ტაბულა" მიანიშნებს, რომ ნებისმიერმა რეგულაციამ შესაძლოა იმოქმედოს ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობაზე. ამაში კი იკვეთება რეგულაციების მემარჯვენე კრიტიკა.

- **სოციალურად დაუცველთა დახმარების ინიციატივა**

კრიტიკული აქცენტები მოჰყვა პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის ინიციატივას, რომელიც გულისხმობდა სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის დახმარებოს 10-დან 50 ლარამდე გაზრდას(http://www.tabula.ge/ge/story/139072-chiaberashvili-socialuri-xarjebis-zrda-ekonomikuri-zrdis-gareshe-fasebs-gazrdis).

„ტაბულამ" მოიყვანა ევროპული საქართველოს წევრის, ზურაბ ჭიაბერაშვილის კომენტარი ამ სოციალურ ინიციატივაზე. დეპუტატის თქმით, აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა ოცნებას აიძულა არა ზრუნვამ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე, არამედ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურმა, რადგან ეს ინიციატივა არ შედიოდა ბიუჯეტის პროექტში. პარლამენტარი მემარჯვენე რაკურსიდან უყურებს აღნიშნულ ინიციატივას. მისი ვარაუდით, სოციალური ხარჯების ზრდა მთლიან მოსახლეობას მძიმედ დააწვება და ამას მოჰყვება ფასების ზრდა, ამის დასაბალანსებლად კი ქვეყნის ეკონომიკა უნდა იზრდებოდეს (რაც აისახება სიღარიბისა და უმუშევრობის მაჩვენებლების შემცირებაზე, ლარისა და ფასების სტაბილურობაზე). ჭიაბერაშვილი ამ საკითხს ერთმნიშვნლოვნად

მემარჯვენე პოზიციიდან უდგება და ამბობს, რომ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს რეგულაციების გაუქმება და გადასახადების დაწევა. აღნიშნული ორი ფაქტორი კი მემარჯვენე დისკურსს ახასიათებს.

წინასაარჩევნო მანიპულაციად შეფასდა მთავრობის კიდევ ერთი საარჩევნო ინიციატივა, რომლის თანახმად, მთავრობა ბანკი „ქართუს“ დახმარებით შავ სიაში მყოფ 600 000-ზე მეტ მოქალაქეს დავალიანებას გაუნულებდა (http://www.tabula.ge/ge/story/140010-ra-arisproblemuri-sesxebis-chamotseris-fasi).

ეკონომისტ აკაკი ცომაიასთან საუბრისას „ტაბულას“ კითხვაზე, თუ რა საფრთხეები მოჰყვება ამ ინიციატივას, ეკონომისტმა უპასუხა, რომ ეს ინიციტივა საფრთხეს უქმნის სასესხო კაპიტალის ბაზარს, რადგან კარგი გადამხდელები ხედავენ პრეცენდენტს, როცა ცუდ გადამხდელებს სესხებს პატიობენ და უნულებენ. ექსპერტის ვარაუდით, დავალიანების ინიციატივა გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსურ სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. ამრიგად, მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ქართული ოცნების ინიციატივა ვერ ჩაითვლება ერთჯერად სოციალურ დახმარებად.

წინა ორი მაგალითი (სოციალურად დაუცველი არასრულწლოვნებისთვის დახმარების ზრდა და შავ სიაში მყოფი მოქალაქეებისთვის ვალების ჩამოწერა) „ტაბულამ“ შეიყვანა ჩამონათვალში, რომელიც ეხება „ხელისუფლების 12 წინასაარჩევნო პოპულისტურ ნაბიჯს“ (http://www.tabula.ge/ge/story/140009-xelisuflebis-12-tsinasaarchevno-populisturi-nabiji). პოპულისტურ რეიტინგში ასევე შედის სამხედროებისთვის, მესაზღვრეებისთვის, სანაპირო დაცვის ხომალდების მომსახურე პერსონალისთვის, შსს-ის სხვადასხვა დანაყოფისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდა; მეორე ჯგუფის შშმ პირებისთვის სოციალური პაკეტის ზრდა; სკოლის დირექტორების, ადმინისტრაციული პერსონალის, მასწავლებლების ხელფასების მომატება და ა.შ.

10 დეკემბერს „ტაბულაში“ გამოქვეყნდა სტატია „რატომ გაძვირდა პური? -

ეკონომისტების მოსაზრება“ (http://www.tabula.ge/ge/story/141290-ratom-gadzvirda-puri-ekonomistebis-mosazreba), რომელშიც განხილული იყო პურის 5-10 თეთრით გაძვირების გამომწვევი მიზეზები. ეკონომისტმა ზვიად ხორგუაშვილმა პურის გაძვირების 3 ძირითადი ფაქტორი დაასახელა. ესენია:

- ✓ ინფლაცია;
- ✓ მთავრობის რეგულაცია ფქვილისა და სიმინდის სატრანსპორტო შემოტანაზე;
- ✓ ქვეყანაში შექმნილი ზოგადი ეკონომიკური მდგომაეობა.

ხორბლის სატრანსპორტო ხარჯების ფაქტორი და პურის გაძვირება ერთმანეთს დაუკავშირა კიდევ ერთმა ექსპერტმა აკაკი ცომაიამ. გარდა ამისა, მან მიზეზებად დაასახელა უშუალოდ ხორბალზე ფასის ზრდა საერთაშორისო ბაზარზე და სავალუტო კურსის მერყეობა. „ასევე, არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ხორბლის ბაზარზე ადგილი ჰქონდეს ერთგვარ არასრულყოფილი კონკურენციის ნიშნებს. ბაზარზე ხორბლის ბევრი შემომტანი არ არის, გვაქვს ერთგვარი ოლიგოპოლიის ნიშნები და, შედეგად, მწარმოებლებს შეუძლიათ, ფასზე გავლენის მოხდენა“, - აღნიშნა ცომაიამ „ტაბულასთან“.

ორივე ექსპერტის შეფასებაში პურის გაძვირების ერთ-ერთ ფაქტორად განხილული იყო მთავრობის რეგულაციები ხორბლის ტრანსპორტირებაზე, რაც უკვე ნაცნობ მემარჯვენე ნარატივს ავითარებს რეგულაციების ნეგატიური შედეგების შესახებ.

2.3. „ნეტგაზეთი“ – netgazeti.ge

„ნეტგაზეთი“ 2009 წელს სექმნილი ონლაინგამოცემაა, რომელიც თავის აუდიტორიას დაბალანსებულ , ობიექტურ ინფორმაციას აწოდებს. როგორც „ნეტგაზეთის“ აღწერაში

წერია, ონლაინგამოცემა აშუქებს პოლიტიკას, ბიზნესს, კულტურას, ასევე იყენებს სხვადასხვა მედიაინსტრუმენტს (ლაივბლოგინგი, ვიდეოკონტენტი და ა.შ) ამბების გადმოსაცემად.

- **მრავალფეროვნება და ულტრამემარჯვენეები**

მემარცხენეობის ერთ-ერთ პლაცდარმს ასევე მრავალფეროვნება, იგივე მულტიკულტურალიზმი წარმოადგენს. ამისი გამოხატულებაა, რომ ევროპელი მემარცხენეები მხარს უჭერენ მიგრანტთა, ლტოლვილთა ინტეგრაციას თავის ქვეყნებში მაშინ, როცა მემარჯვენე-კონსერვატორები საზღვრების მაქსიმალურ კონტროლზე აკეთებენ აქცენტს.

ამ თემის გამოძახილია „ნეტგაზეთის“ 16 ნოემბრის ნიუსი სათაურით „საფრთხეს უქმნის კულტურასა და ტრადიციებს“ - რატომ მიიჩნევენ მრავალფეროვნებას ნეგატიურად (https://netgazeti.ge/news/319953/). საკითხი ეხება კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC-საქართველოს) მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა - 56% მრავალფეროვნებას ქვეყნისთვის დადებით მოვლენად მიიჩნევს.

გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტებმა დაასახელეს ის ნეგატიური ასპექტები, რომლებიც მრავალფეროვნებას ახლავს. ესენია:

- ✓ კულტურასა და ტრადიციებს უქმნის საფრთხეს;
- ✓ რესპოდენტთა 38%-ის აზრით, რელიგიური მრავალფეროვნება მათ რელიგიას უქმნის საფრთხეს.

გასათვალისწინებელია, რომ „ნეტგაზეთმა“ ერთ-ერთ ნიუსში სათაურად გამოიყენა ამონარიდი კვლევიდან, რომელიც ასახავს, რატომ აღძრავს მრავალფეროვნება შიშს რესპოდენტთა ნაწილში. ერთი მხრივ, სათაური მკითხველში ინტერესს იწვევს, რადგან

კვლევამ უნდა გასცეს პასუხი, რატომ არის საშიში მრავალფეროვნება ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციებისთვის, მეორე მხრივ, კონსერვატორული შეხედულების მატარებელი წინადადების გამოყენებით „ნეტგაზეთი“ მიუთითებს გარკვეულ ტენდენციაზე. მაგალითად, ევროპის სულ უფრო მეტ ქვეყანაში ძლიერდებიან ულტრამემარჯვენე და კონსერვატორული ძალები, რომლებიც მიგრანტებს საფრთხედ დამემარცხენეების მიერ თავს მოხვეულ იდეად მიიცნევენ. მაგალითად, 2017 წლის არჩევნების შედეგად ავსტრიის მთავრობაში ულტრამემარჯვენე „თავისუფლების პარტია“ მოხვდა.

იტალიის ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკოსია ქვეყნის შსს მინისტრი მატეო სალვინია, რომელიც ულტრამემარჯვენე პარტიის „ჩრდილოეთის ლიგის“ ხელმძღვანელია, ხოლო საფრანგეთში გაიზარდა მარინ ლე პენისა და მისი ულტრამემარჯვენე ანტისაიმიგრაციო პარტიის მხარდაჭერა. მხარდამჭერის დასტურად გამოდგება 2019 წლის მაისში ევროკავშირის ქვეყნები გამართული ევროპარლამენტის არჩევნები, რომლის თანახმად, საფრანგეთში ლე პენის პარტიამ ქვეყნის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის ცენტრისტულ რენესანსის ალიანსს მოუგო. გარდა ამისა, უნგრეთში პოპულისტი ვიქტორ ორბანი ხელმძღვანელობს. აღნიშნულ პოლიტიკოსებსა და მათ პარტიებს აერთიანებთ ნეგატიური დამოკიდებულება მიგრაციის საკითხის მიმართ. ისინი თავიანთი პოლიტიკური მესიჯებით ავრცელებენ აზრს, რომ მიგრანტები საფრთხეს შეუქმნიან ევროპულ ტრადიციებსა და ღირებულებებს. ასეთივე შიში იკვეთება სათაურში, რომლის მესიჯი მეტ-ნაკლებად ასახავს ევროპაში ბოლო დროს დაბუდებულ აპათიას.

გარდა ამისა, „ნეტგაზეთმა“ ყურადღება გაამახვილა კვლევის იმ ნაწილზე, რომელშიც იკვეთება, რომ ეთნიკური და რელიგიური უმრავლესობა არაა სენსიტიური შესაბამისი უმცირესობების პრობლემების მიმართ: „საქართველოში მოსახლეობის მესამედი (38%) მიიჩნევს, რომ რელიგიური უმცირესობები საქართველოში პრობლემებს არ აწყდებიან, ხოლო 19% აცხადებს, რომ მათ ასეთი პრობლემების შესახებ არაფერი იციან“.

„კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 57%-მა ვერ დაასახელა რომელიმე კონკრეტული პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვანია რელიგიური უმცირესობებისთვის, ხოლო მათ, ვინც კონკრეტული პრობლემა მიუთითა, ყველაზე ხშირად დაასახელა სიძულვილის ენა (15%) და ის, რომ დამსაქმებლებს ურჩევნიათ, არ დაასაქმონ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები“, - აღნიშნულია კვლევაში.

მოცემული ნაწყვეტების ათვიშირებით „ნეტგაზეთი“ მიგვანიშნებს, რომ მრავალფეროვნებისადმი შიშს აღძრავს ეთნიკური და რელიგიური უმრავლესობის გულგრილობა უმცირესობების პრობლემებისადმი, ამ ფორმით კი წამოწეულია მემარცხენეობის ერთ-ერთი ძირეული ფასეულობა - ემპათია.

ევროპაში ულტრამემარჯვენე და პოპულისტური ძალების გაძლიერებასთან დაკავშირებულ საპროტესტო გამოსვლას ეხება 14 ოქტომბრის ნიუსი „ათობით ათასიანი პროტესტი ბერლინში რასიზმს, ქსენოფობიასა და ულტრამემარჯვენეებს“ (https://netgazeti.ge/news/311337/).

ნიუსი ეხება ბერლინში გამართულ მასშტაბურ აქციას, სადაც ათობით ათასი ადამიანი გერმანიაში ულტრამემარჯვენეები გაძლიერების წინააღმდეგ გამოვიდა. პლაკატებიც ამ სულისკვეთებას გამოხატავდა - „ვაშენოთ ხიდები და არა კედლები“ (ერთგვარი მინიშნება აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპზე, რომელმაც მიგრაციის შემცირებლად მექსიკასთან საზღვარზე კედლის აშენება განიზრახა), „ერთად რასიზმის წინააღმდეგ“, „ჩვენ ვართ განუყოფელნი - ღია და თავისუფალი საზოგადოება“. როგორც ჩანს, მარვალფეროვნების, მულტიკულტურალიზმის დაცვა ამ პროტესტის ერთ-ერთი მიზანი იყო.

ნიუსში ერთგვარი მემარცხენე კრიტიკული აქცენტები ვლინდება. კერძოდ, მითითებულია, რომ ისტორიაში პირველად გერმანიის პარლამენტში მოხვდა ულტრამემარჯვენე პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელიც ანტისაიმიგრაციო განწყობებით გამოირჩევა. სწორედ ამ პარტიის პოლიტიკამ უბიძგა

ათასობით ადამიანს ქუჩაში გამოსვლისკენ. ნიშანდობლივია, რომ ამ პროტესტის სულისკვეთების საჩვენებლად „ნეტგაზეთმა“ გამოიყენა შემდეგი კომენტარი „ბიბისის“ ნიუსიდან: „არის ხალხი, რომელთაც სჯერათ, რომ შეუძლიათ, ადამიანის უფლებები ხელყონ და თანასწორობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ. დროა, ითქვას: არა, აქ სხვა ხალხიცაა, ღია და გახსნილი აზროვნების მქონე”, – უთხრა BBC-ს აქციის მონაწილე ქალმა. ამ კომენტარიდან ვლინდება შემდეგი მემარცხენე აქცენტი: ულტრამემარჯვენე ძალები საფრთხეს უქმნიან ადამიანთა უფლებებსა და თანასწორობას.

მემარცხენე კრიტიკული აქცენტები ვლინდება ნიუსში სათაურით „ბრაზილიაში ულტრამემარჯვენე, რასისტი პრეზიდენტი აირჩიეს“ (https://netgazeti.ge/news/315575/). ამბავი ეხება ბრაზილიაში 28 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს, რომლებშიც გაიმარჯვა ჟაირ ბოლსონარომ. აღსანიშნავია, რომ მას დასავლური პრესა პოპულისტ პოლიტიკოსად და ბრაზილიერ ტრამპად მოიხსენიებს. ულტრამემარჯვენეთა კრიტიკა ვლინდება თუნდაც იმ წყაროებიდან, რომლებსაც ეყრდნობა ნიუსი. ამ შემთხვევაში „ნეტგაზეთის“ იყენებს „ბიბისისა“ და „გარდიანის“ ნიუსებს, რომლის მიხედვით ბოლსონაროს ულტრამემარჯვენეობა ნეგატიურ ჭრილშია სახული. ასევე მოყვანილია მისი რასისტული, ჰომოფობიური და სექსისტური განცხადებები.

ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანლების პრობლემას ეხება 26 ოქტომბრის ნიუსი სათაურით „რა პრობლემებს უქმნის ქართულის არცოდნა ეთნიკურ აზერბაიჯანელებს სერვისების მიღებისას“ (https://netgazeti.ge/news/314250/). ნიუსში განხილულია „ბთკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფის“ კვლევა „სახელმწიფო სერვისების მიწოდება და ეთნიკური უმცირესობების (აზერბაიჯანელები) ჩართულონის ეფექტურობის შეფასება“, რომელშიც ასახულია იმ გამოწვევები, რომლებსაც ეთნიკური აზერბაიჯანელები აწყდებიან მუნიციპალიტეტების იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების მიერ

შეთავაზებული სერვისების მიღებისას.

კვლევის თანახმად, აზერბაიჯანელები კლევისთვის იმ ნიშნით იყვნენ შერჩეული, რომ საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ.

კვლევის მიგნებებთან დაკავშირებით, „ნეტგაზეთმა“ კომენტარი ჩამოართვა მის ავტორს, ჯული გიორგაძეს.

ირკვევა, რომ აღნიშნულ სერვისებს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელები ხშირად იყენებენ, ენობრივ ბარიერს ისინი მხოლოდ მარნეულის იუსტიციის სახლში აწყდებიან (კვლევა ეხებოდა ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ პუნქტებში არსებულ ვითარებას), რადგან მისმა თანამშრომლებმა აზერბაიჯანული არ იციან. აღნიშნულია, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით დგას მიმდებარე სოფლებიდან ჩამოსული ხანდაზმული მოქალაქეებისთვის. ენის ბარიერის პრობლემა არ ჩანს საზოგადოებრივ ცენტრებში, რადგან მათ პერსონალში მინიმუმ ერთი თანამშრომელი ეთნიკურად ადგილობრივი აზერბაიჯანელია, რომელიც ასევე ქართულადაც საუბრობს, რაც უზრუნველყოფს ორენოვან მომსახურეობის მიღებას.

გიორგაძემ „ნეტგაზეთს“ უთხრა, რომ იუსტიციის სახლმა და საზოგადოებრივმა ცენტრებმა შემდეგი რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინონ:

- იუსტიციის სახლებმა და საზოგადოებრივმა ცენტრებმა ეთნიკურად აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქეებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია არა ლიმიტირებული სერვისების შესახებ, არამედ მათი სრული სპექტრის შესახებ;
- ეთნიკურად აზერბაიჯანელები საქართველოს მოქალაქეები არ იყენებენ შესაძლებლობას, რომლის მიწოდება შეუძლია საზოგადოებრივ ცენტრებს. ამაში შედის საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მაგალითად, კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენება), ასევე სამოქალაქო ჩართულობის სტიმულირება (კერძოდ, შეხვედრების ჩატარება ან ბიბლიოთეკის

სარგებლობა). შესაბამისად, კვლევის ავტორები მოუწოდებენ საზოგადოებრივ ცენტრებს, გააქტიურდნენ ამ მიმართულებით.

ერთი მხრივ, „ნეტგაზეთი“ ავლენს, რომ გამოცემა დაინტერესებულია ეთნიკური უმცირესობების პრობლემებისა და საჭიროებების გაშუქებით. ეს კი, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ გამოცემა მხარს უჭერს მრავალფეროვნებას, რაც გამოიხატება საზოგადოებრის სხვადასხვა ჯგუფის გაშუქებით. ეს კი მემარცხენე ნარატივია.

• ფემინიზმი და მემარცხენე დისკურსი

ფემინიზმის მემარცხენე ნარატივი იკვეთება სტატიაში „რატომ მოგვინდა სოფიასთან სექსი?“ (https://netgazeti.ge/news/293603/), რომელშიც განხილულია სოციალური ქსელის ქართველი მომხმარებლების გამოხმაურება თბილისში პირველი ჰუმანოიდი რობოტი სოფიასთან ჩამოსვლასთან დაკავშირებით. სტატიის ავტორი, ელენე ხაჭაპურიძე წერს, რომ 17 ივლისს, სოფიას ჩამოსვლის შემდეგ სულ უფრო თვალშისაცემი გახდა კომენტარები და პოსტები, რომლებშიც ხაზგასმული იყო მისი სექსუალობა. აღნიშნულ ფაქტს სტატიაში კინომცოდნე თეო ხატიაშვილი განიხილავს, რომელიც პრობლემას მასკულტურაში ხედავს. ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული აქცენტი მკვეთრად მემარცხენეა, თუმცა, მემარცხენე ფემინისტები ხშირად მიუთითებენ, რომ არსებული სტერეოტიპები, რომლებსაც მასკულტურა ახვევს ქალებს, მზა ხატები, რომლებიც ფილმებიდან და პოპკულტურიდან იბეჭდება ჩვენს გონებაში, აუცილებლად აირეკლება აზროვნებასა და ენაში. სწორედ ამ თავსმოხვეული წარმოდგენების წყალობით რობოტი სოფია ასოცირდება არა ხელოვნურ ინტელექტთან, არამედ სექსუალურ ობიექტად. ჰუმანოიდი უკანა პლანზე გადადის, რადგან იგი ქალია, ეს კი მის ღირსებას (ე.ი. იმ ფაქტს, რომ სოფია რობოტია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კონფერენციაში) საზოგადოების

თვალში აკნინებს. ამდენად, ისიც საუკუნეების განმავლობაში წარმოშობილი გენდერული სტერეოტიპების მსხვერპლია.

ქალთა უფლებების თემას ეხმიანება „ნეტგაზეთის“ სტატია „რას ნიშნავს, როცა კაცები ტელეეთერში იუმორით იხსენებენ, თუ როგორ იძალადეს ქალებზე?“ (https://netgazeti.ge/news/318200/), რომელშიც განხილულია ტელეკომპანია ,,იმედის“ გადაცემის „სიცრუის დეტექტორი“ 2 ქეისი, სადაც ქალებზე ძალადობის გაშარჟება მოხდა. კერძოდ, მოყვანილია მსახიობ გივი სიხარულიძისა და მომღერალ გია სურამელაშვილის მონათხრობი. სიხარულიძემ გადაცემაში თავის სექსუალურ გამოცდილებაზე ჰყვებოდა, ხოლო მისმა მეგობარმა, რომელიც ასევე იყო მიწვეული გადაცემაში, ისაუბრა წლების წინ მომხდარ ამბავზე. მიუხედავად იმისა, რომ მოყოლილ ამბავში გაცხდებული ფაქტი სექსუალური ძალადობის ნიშნებს შეიცავდა, სტუმარმა ეს ამბავი იუმორში გაატარა, ხოლო ძალადობრივი სექსუალური აქტი მონათლა პატივისცემით, რითაც მოხდა ძალადობის სიტყვიერი მიჩქმალვა. მეორე ქეისი გია სურამელაშვილს ეხება, რომელმაც გაიხსენა, თუ როგორ ძალადობდა თავის ცოლზე. სურამელაშვილის შემთხვევაშიც დაკნინებული იყო ის ზიანი, რომელიც ძალადობის მსხვერპლს მოადგა. „ნეტგაზეთი“ ესაუბრა წამყვანს, რომელმაც ეთერში მსგავსი დისკრიმინაციული კონტენტის გაშვება იმით გაამართლა, რომ სიცრუის დეტექტორი გასართობი შოუა, სადაც „შესაძლოა გაჟღერდეს რაიმე დანაშაულებრივი ფრაზა ან ისეთი ქმედება, რომელიც წარსულში ადამიანს ჩაუდენია“. ქალების ძალადობის იუმორით ტირაჟირების საფრთხეზე „ნეტგაზეთთან“ ქალთა უფლებადამცველმა იდა ბახტურიძემ და ეთიკის ქარტიის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნატა ძველიშვილმა ისაუბრეს. ბახტურიძემ აღნიშნა, რომ მედიაში იკვეთება არა მხოლოდ ქალებზე, არამედ ზოგადად, ადამიანებზე ძალადობის ფაქტების გაშარჟების ტენდენცია. მისივე თქმით, მაშინ, როცა ბოლო 3 წელიწადში საქართველოში 76 ქალი მოკლეს, ხოლო ყოველი მეშვიდე ქალი ძალადობის მსხვერპლია, მედია მაინც ახდენს იმ

სტერეოტიპების გაღრმავებას, რომლებიც ძალადობის წაქეზებას ხელს უწყობს. უფლებადამცველის განმარტებით, სურამელაშვილისა და სიხარულიძის შემთხვევაში, სექსუალური აქტი იყო წარმოჩენილი ქალების „დასჯის საშუალებად“, სადაც გამარჯვებული კაცია, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს კიდევ უფრო აღვივებს. მისი თქმით, მედია სტერეოტიპებს უნდა ებრძოდეს, ხოლო ზოგ რესპოდენტს, რომელიც ამგვარი ძალადობრივი ფაქტებითაა ცნობილი, სივრცე არ დაუთმოს. რაც შეეხება ძველიშვილს, მისი თქმით, პროფესიული სტანდარტები ავალდებულებს მედიას, ხელი შეუშალოს სტერეოტიპების გამყარებასა და დისკრიმინაციის ტირაჟირებას. იმავე ქალებზე ძალადობა არ უნდა იყოს ნორმალიზებული მედიის მიერ და აქ ფორმატს მნიშვნელობა არ აქვს.

რა მემარცხენე აქცენტები ვლინდება სტატიაში? ქალების უფლებები, როგორც ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცვა, მემარცხენეებისთვის ის ფუნდამენტია, რომელზეც თანასწორობის იდეა დგას. გარდა ამისა, მემარცხენეები მედიას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მნიშვნელოვანი საკითხები უფასურდება და ისინი გატარებულია გართობის პრიზმაში, რაც არანაირად უწყობს ხელს იმ ნეგატიური სტერეოტიპების დაძლევას, რომლებიც აქეზებს ქალთმოძულეობას. იმავე ,,სიცრუის დეტექტორის“ შემთხვევაში ქალებზე ძალადობა გაშარჟდა და წამყვანმა პასუხისმგებლობა იმიტომ არ იკისრა, რომ გადაცემას გასართობი ფორმატი აქვს. შესაბამისად, აქ ვლინდება კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც მემარცხენეები ხშირად ეხებიან, ეს არის - ემპათია. ტელეკომპანია „იმედი“ სრულიად გულგრილი აღმოჩნდა ქალთა ძალადობის პრობლემის მიმართ, რადგან არ იზრუნა, რომ გადაცემაში გაჟღერებული დისკრიმინაციული ფრაზები ისე წარმოეჩინა, როგორც სრულიად მიუღებელი რამ.

4 ოქტომბერს „ნეტგაზეთმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „რატომ არ მივიდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები ქალთა უფლებებზე სადისკუსიოდ?“

(https://netgazeti.ge/news/308799/), რომელიც ეხებოდა „ქალთა მოძრაობის“ მიერ 4 ოქტომბერს ორგანიზებულ დისკუსიას, რომელშიც 5 პრეზიდენტობის კანდიდატიდან მხოლო ორი - დავით ბაქრაძე და დავით უსუფაშვილი მონაწილეობდა.

„ნეტგაზეთმა“ ხაზი გაუსვა, რომ ამ შეხვედრაზე მისვლა იმას გულისხმობდა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები დაადასტურებდნენ ქალთა უფლებების, მათი საჭიროებების დაცვის მნიშვნელობას, რაც მემარცხენეობას ეხმიანება. აღსანიშნავია, რომ სწორედ „ნეტგაზეთი“ იყო ერთ-ერთი მედიაპლატფორმა, რომელმაც გააშუქა „ქალთა მოძრაობის“ გამოხმაურება ეკონომიკის მინისტრის, გიორგი ქობულიას განცხადებაზე, რომლის თანახმად, „არიან დიასახლისები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მუშაობა არ უნდათ“ (https://netgazeti.ge/news/331770/). „ქალთა მოძრაობის“ წერილში მითითებულია ყველა ის მიზეზი, რომელთა გამოც გამოც ქალების ნაწილი ანაზღაურებად შრომაში არ არის ჩაბმული და ამისი მიზეზია საზოგადოებაში არსებული სოციო-ეკონომიკური ფაქტორები.

„ქალთა მოძრაობის“ წერილი ცალსახად შეიცავს მემარცხენე აქცენტებს: წერილის მეშვეობით, მოძრაობა ცდილობს, მიახვედროს მინისტრი, რომ საჭიროა, მთავრობამ ჩამოაყალიბოს ქალთა გაძლიერების ეკონომიკური ხედვა, რომელიც მეტად დაეხმარება ქალებს ეკონომიკური თავისუფლების მიღწევაში, ასევე შეხება არაანაზღაურებადი შრომის საკითხსაც.

„ქალთა მოძრაობა“ მინისტრის განცხადებამდეც მოექცა „ნეტგაზეთის“ ყურადღების ობიექტში. 22 დეკემბერს ქალთა ჯგუფმა აქცია გამართა პრეზიდენტის ათონელის სასახლესთან (https://netgazeti.ge/news/330999/). მათ ახლადარჩეული პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილისგან მოითხოვეს დიმიტრი გაბუნიას საპარლამენტო მდივნის თანამდებობისგან მოხსნა. „აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ზვიად დევდარიანის ადვოკატობისას გაბუნიას განცხადებები სექსუალური შევიწროების ბრალდებებზე, აღნიშნული პრობლემის ნორმალიზების ტოლფასი იყო“, - წერია სტატიაში.

აღნიშნული კამპანიის მიბმა ქართველი ფემინისტების აქციასთან ლოგიკური იყო - დიმიტრი გაბუნია ქალების სექსუალურ შევიწროებაში ბრალდებული , არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ ყოფილი ხელმძღვანელის, ზვიად დევდარიანის ინტერესებს იცავდა.

ნიუსში მოყვანილია “ქალთა მოძრაობის” წევრის, უფლებადამცველ იდა ბახტურიძის განცხადება, რომლის თანახმად, გაბუნიამ ამ ნათქვამით სექსუალური შევიწროების ნორმალიზება მოახდინა, რის გამოც ის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არ უნდა დანიშნულიყო. ამ შემთხვევაში მემარცხენე გზავნილი იმ მინიშნებით გამოიხატება, რომ აუცილებელია პრეზიდენტმა იზრუნოს ქალთა უფლებების დაცვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ პრეზიდენტი ხელს უწყობს სექსუალური შევიწროების ნორმალიზებას იმ ადამიანების დანიშვნით, ვინც ამაში პრობლემას ვერ ხედავს.

- **ნარკოპოლიტიკის შეცვლის მემარცხენე გზა**

13 აგვისტოს სტატიაში „ზრუნვა დასჯის ნაცვლად - რატომ უნდა შეიცვალოს ნარკოპოლიტიკა საქართველოში“ (https://netgazeti.ge/news/298010/) მემარცხენე აქცენტები სათაურშივე იკვეთება. მიშნებულია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ეხმარებოდეს ნარკოდამოკიდებულ პირებს, დაძლიონ აღნიშნული ჩვევა და დაუბრუნდნენ საზოგადოებას.

სტატიის ავტორი დამსჯელი ნარკოპოლიტიკის ნეგატიური შედეგების საჩვენებლად იყენებს Human Rights Watch-ის ანგარიშს, რომელშიც ნათქვამია, რომ რეპრესიული ნარკოპოლიტიკა მოხმარების პრობლემას ვერ ჭრის. ციხეში ჩასმით როგორც ნარკოდამოკიდებულ ადამიანს, ასევე მის ოჯახს უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს.

ამის მაგალითად მოყვანილია 23 წლის მუსიკოსის, კოტე ჯაფარიძის ისტორია, რომელიც 2 გრამი MDMA-ს ფლობისთვის დააკავეს. მან 6 თვე ციხეში გაატარა,

დანარჩენ 5 წელს კი პირობითი მსჯავრის ქვეშ იხდის. მკაცრი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სასამართლომ ჯაფარიძე დააჯარიმა 25 000 ლარით, რომლის გადასახდელად ოჯახმა ბანკიდან სესხი აიღო. ამგვარად, რეპრესიული ნარკოპოლიტიკის სისტემა ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებელ პირს უფლებების ფართო სპექტრს ართმევს - მაგალითად, მას მინიმუმ, 3 წლით ეზღუდება საჯარო სექტორში მუშაობა, ასევე შეზღუდვები ვრცელდება საექიმო და საადვოკატო საქმიანობაზე. აქედან იკვეთება აზრი, რომ სისტემა მიმართულია ადამიანის გასარიყად და ამით ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებული პირის მარგინალიზაციას ახდენს და ბარიერებს უწესებს.

- **მთავრობის წინასაარჩევნო ინიციატივები**

ნეიტრალური და მემარცხენე აქცენტები იკვეთება სტატიაში, რომელიც უკავშირდება მთავრობის ინიციატივას, ე.წ. შავ სიაში მყოფი 600 000-ზე მეტი მოქალაქისთვის დავალიანების ჩამოწერის შესახებ (https://netgazeti.ge/news/320643/). „ტაბულას“ მსგავსად, „ნეტგაზეთს“ ექსპერტად მოწვეული ჰყავს ეკონომისტი აკაკი ცომაია. „ნეტგაზეტთან“ საუბრისას ის იმეორებს, რომ მთავრობის ინიციატივა სახიფათო პრეცედენტს ქმნის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ვალს იხდიან. სტატიაში ასევე განხილულია საბანკო რეგულაციების შესაძლო გავლენა ვადაგადაცილებულ სესხებზე. მისი ვარაუდით, რეგულაციები ხალხს უბიძგებს, სესხი მევახშესგან აიღონ, ანუ იმ პირისგან, ვისი საქმიანობის სფერო ნაკლებად მოწესრიგებულია კანონის მიერ. რეკომენდაციის თანახმად, დამატებითი უფლებების შეზღუდვის მექანიზმი უნდა გაუქმდეს და თუ სახელმწიფო გამოიყენებს ამ მექანიზმს, ის აუცილებლად კავშირში უნდა იყოს ჩადენილ დანაშაულთან.

- **„ნეტგაზეთის“ წლის ადამიანები**

მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში „ნეტგაზეთი“ ნეიტრალურ ტონს ინარჩუნებდა, გამოცემამ წლის ადამიანებად შვილმოკლული მამები - მალხაზ მაჩალიკაშვილი და ზაზა სარალიძე დაასახელა (https://netgazeti.ge/news/332457/). „ნეტგაზეთმა“ ისინი „2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ“ მონათლა.

აღსანიშნავია, რომ მაჩალიკაშვილისა და სარალიძის ქეისი წამოადგენს ბრძოლას სისტემასთან, ამ შემთხვევაში შსს-სა და პროკურატურასთან. ამ ბრძოლის შედეგი იქონიებს გავლენას არა მხოლოდ მათი დაღუპული შვილების გამოძიების დასრულებაზე, არამედ ზოგადად, მართლმსაჯულების ხარისხზე. მაჩალიკაშვილისა და სარალიძის გამარჯვების შემთხვევაში შეიქმნება დადებითი პრეცედენტი, რომ პროტესტს აზრი აქვს და პროტესტითაც შესაძლებელია მართლმსაჯულების მიღწევა.

სწორედ ეს მემარცხენე აქცენტი ჩანს „ნეტგაზეთის“ არჩევანში - მაჩალიკაშვილის-სარალიძის პროტესტი არაა ორი ინდივიდის ამბავი, ის ეხება საგამოძიებო და მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზებს, რომელიც ნებისმიერი მოქალაქის, მთელი საზოგადოების მომავალზე შეიძლება იმოქედოს. ამაზე თვითონ „ნეტგაზეთიც“ ამახვილებს ყურადღებას: „ნეტგაზეთის“ გადაწყვეტილება არის იმის ხაზგასმა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული ადამიანის როლი საზოგადოებისთვის, მოიპოვოს და შეინარჩუნოს კანონის უზენაესობა, გამოხატვის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლო, ანგარიშვალდებული მმართველობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა“, - წერია ინტერვიუს წინასიტყვაობაში. თავად „ნეტგაზეთმა“ მაჩალიკაშვილისა და სარალიძის პროტესტი „გამოხატვის თავისუფლებისთვის“ ბრძოლად შეაფასა.

დასკვნა

სამივე გამოცემის: „ლიბერალის“, „ტაბულასა“ და „ნეტგაზეთის“ პუბლიკაციათა შეფასებამ გამოავლინა საკვლევ ჰიპოთეზათა მართებულობა: პირველი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული ონლაინგამოცემები ნაკლებად ავლენენ მემარცხენე აქცენტებს და, უმეტესწილად, ნეიტრალურ ტონს ინარჩუნებენ. იმავე „ტაბულას“ შემთხვევაში, მემარცხენე იდეების კრიტიკა ძირითადად ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გვხვდება, მაგალითად, სხვადასხვა რეგულაციასთან დაკავშირებით; მეორე ჰიპოთეზის მიხედვით კი, იდეოლოგიურ მიკუთვნებულობიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში ონლაინგამოცემების სარედაქციო პოლიტიკაში იკვეთება მემარცხენე, მემარჯვენე ან ცენტრისტული ფრთის პოზიციონირება. მაგალითისათვის, „ლიბერალი“ იყენებს მემარცხენე იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომელიც მიმართული სოციალური სამართლიანობისაკენ. აქცენტები დასმულია მოწყვლად ჯგუფებსა და მათი პრობლემატიკის ასახვაზე, ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონზე, შრომით უფლებებზე და სხვა. მაშინ, როცა ჰიპოთეზის მართებულობა „ტაბულას“ შემთხვევაში გამოიხატება მემარჯვენე იდეოლოგიის რეპრეზენტაციით. „ტაბულაში“ გამოქვეყნებული მასალები მეტად ორინეტირებულია საკითხთა ეკონომიკურ ჭრილში განხილვაზე.

ონლაინმედიაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნახევარწლიან პერიოდში სამივე გამოცემა ნაკლებად ავლენდა თავის იდეოლოგიურ მიმართულებებს. განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში. ამ საკითხთან დაკავშირებული მასალა ნეიტრალური ხასიათის იყო და მეტ-ნაკლებად დაბალანსებული.

მემარცხენე აქცენტები/ან მემარცხენე იდეების კრიტიკა გამოვლინდა შემდეგ თემებში:

- ✓ მუშების დაღუპვა ტყიბულის შახტში.
- ✓ დაგროვებითი საპენსიო რეფორმა.

- ✓ დაუცველი სოციალური ჯგუფების გარიყვა.
- ✓ დასაქმებულთა უფლებების დაცვა.

თუკი „ლიბერალის“ შემთხვევაში მემარცხენე აქცენტები სხვადასხვა თემას ეხებოდა, ასევე იყო ასპარეზი მემარჯვენე აზრისთვის, „ტაბულა“ მთავრობის მემარცხენე იდეებს ძირითადად რეგულაციებთან დაკავშირებით აკრიტიკებდა. „ნეტგაზეთი“ ამ სამიდან ყველაზე „იდეოლოგიურად ნეიტრალური“ იყო, რადგან, უმეტესად, ყველა მხარის გაშუქებასა და ბალანსის დაცვას ახერხებდა.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებიდან ვასკვნით, რომ მემარცხენე აქცენტები როგორც „ლიბერალში“, ასევე „ნეტგაზეთში“, ძირითადად, სტატიებში იკვეთება. აღნიშნული სტატიები, უმეტესწილად, ადამიანებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეხება. კერძოდ, მედიაპროდუქტები მიმოიხილავს თანასწორობის პოლიტიკასა და შრომით პირობებს. აქცენტების ისმება ქალებზე, ცხოველებზე ლგბტ პირებსა და სხვა უმცირესობებზე.

სხვადასხვა ჟანრობრივ კატეგორიას შორის, განსაკუთრებით ნეიტრალურია ნიუსების კატეგორია. მემარცხენე ელემენტებზე ხაზგასმა იშვიათია, როგორც „ლიბერალში“, ასევე „ნეტგაზეთში“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გამოცემები ბალანსის დაცვას ახერხებენ და ნეიტრალურობას ინარჩუნებენ.

„ლიბერალის“ შემთხვევაში სტატიებისა და ნიუსის გარდა, მემარცხენე აქცენტები ჩანს ბლოგებსა და პოდკასტებში. ეს იმითაც აიხსნება, რომ მსგავსი ტიპის მასალაში ავტორი მეტად თავისუფალია აზრის დაფიქსირებისას, ამიტომ შეუძლია, უფრო ღიად გამოხატოს თავისი შეხედულებები ისე, რომ ეს არ გაიგივდეს სარედაქციო პოლიტიკასთან.

„ნეტგაზეთის“ შემთხვევაში სტატიებისა და ნიუსების გარდა, მემარცხენე აქცენტები ჩანს მხოლოდ დეკემბრის შემაჯამებელ ინტერვიუში მალხაზ მაალიკაშვილთან და ზაზა სარალიძესთან, რაც მემარცხენე მოტივებითაა ნაკარნახევი („ნეტგაზეთის“ მიხედვით,

სარალიძისა და მაჩალიკაშვილის ბრძოლა სისტემასთან მთელ საზოგადოებას ეხება).

რაც შეეხება „ტაბულას“, მასში მემარცხენე აქცენტები არ გამოკვეთილა, მისი მემარჯვენე პოზიციონირება კი აისახება იმ სტატიებსა თუ ახალ ამბებში, რომლებშიც მთავრობის მემარცხენე რეფორმები ნეგატიურადაა განხილული.

შინაარსობრივი მხარის გარდა, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მიკუთვნელობას გამოხატავს ისიც, თუ მასალის რამდენ პროცენტში იყო გამოკვეთილი მემარცხენე აქცენტები.

ზოგადად, სამივე გამოცემაში ნიუსები სჭარბობდა, “ლიბერალი” კი იმით გამოირჩეოდა, რომ თავის აუდიტორიას აუდიოკონტენტსაც სთავაზობდა პოდკასტების სახით.

	„ლიბერალი“	„ტაბულა“	„ნეტგაზეთი“
ნიუსი	2153	613	310
სტატია	52	25	69
ბლოგი/ თვალსაზრისი/ კომენტარი	13	4	8
ინტერვიუ	9	-	4
პოდკასტი	9	-	-
ვიდეო	-	2	2

„ლიბერალის“ შემთხვევაში მემარცხენე აქცენტები გამოიკვეთა 6 პოდკასტში, 8 სტატიაში (რაც ყველა სტატიის 15.38%-ია), 4 ბლოგში, 6 ნიუსსა და 1 სტატიაში. „ნეტგაზეთის“ შემთხვევაში მემარცხენე აქცენტები გვხდება 6 ნიუსში (რაც ყველა ნიუსის 1.94%-ს შეადგენს), 1 ინტერვიუში (წლის შემაჯამებელი ინტერვიუ მალხაზ მაჩალიკაშვილთან და ზაზა სარალიძესთან) და 9 სტატიაში. „ტაბულაში“ მემარცხენე აქცენტები არ იკვეთება, თუმცა, 7 (ყველა სტატიის 28%-ს შეადგენს) სტატიაში გამოიკვეთა კრიტიკა მთავრობის მიერ ჩატარებული რეფორმების მიმართ, რომელიც

„ტაბულაში“ მემარცხენე პოლიტიკის მახასიათებლადაა შეფასებული

ქვემოთ, დიაგრამებში ასახულია მემარცხენე აქცენტების გამოკვეთის ტენდენცია კონკრეტული კატეგორიის სრულ რაოდენობასთან მიმართებით:

დიაგრამა 1.1

„ლიბერალი“



დიაგრამა 1.2

„ნეტგაზეთი“



კვლევის მიგნებები

> „ტაბულას“ მიერ მემარცხენეობის კრიტიკა არ ცდება რეგულაციების თემას;

> „ლიბერალი“ სოციალურ-კულტურული ჩაგვრის სათავეს ხედავს არა მარტო ჩამოყალიბებულ ტრადიციებში, არამედ პოლიტიკური ნების არქონაში;

> მიუხედავად იმისა, რომ „ნეტგაზეთი“ არ ავლენს თავის იდეოლოგიურ მიკუთვნებულობას. წლის ადამიანების არჩევისას მან სწორედ მემარცხენე შეხედულებებით იხელმძღვანელა;

> მემარცხენე აქცენტები ნიუსებში, რომლებიც ყველაზე მრავლად იყო კვლევისას გაანალიზებული, არ გვხდება, რაც ნიშნავს, რომ გამოცემები ამ კუთხით ბალანსის დაცვას ახერხებენ.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

> გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა (https://uni.cf/2XQW9eI), 2018;

> საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშში საქართველოში ადამიანების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (https://bit.ly/2S6ZlgT), 2019;

> ქართული ფაბიანური საზოგადოება, „ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია“, 2015;

> Barnes, S., "Left, Right, and the Italian Voter", 1971;

> Benton, T., “Humanism = Speciesism: Marx on Humans and Animals,” (1988);

> Bobbio, N., “Left and Right: The Significance of a Political Distinction”, 1996;

> Claes, G., “Encyclopedia of Modern Political Thought", 2013;

> Crawford, F, “How Consumerist Marketing Imposes Gender Roles On The American Woman Or Just How Running Shoes, Cleaning Products, Perfumes, Razor Blades And Skin Care Define The American Female as The Provocateur” (2014);

> Downs, A., "An Economic Theory of Democracy", 1957;

> Druckman, J. N., "On the Limits of Framing Effects: Who Can Frame?", 2001;

> Edelman, M., "Contestable Categories and Public Opinion", 1993;

> Entman, M.,"Framing toward Clarification of a Fractured Paradigm", 1993;

> Eysenck, H., “Fact and Fiction in Psychology”, 1965;

> Freire, A., “Bringing Social Identities Back In: The Social Anchors of Left-Right Orientation in Western Europe", 2006;

> Gamson W. A. & Modigliani, A., "Framing as a Theory of Media Effects", 1987;

> Gans, H. J., "Deciding What's News", 1979;

> Giddens, A., “Ideology and Consciousness”, 1964;

> Humans Right Watch report (https://bit.ly/2G5vnoG), 2019;

> Iyengar, E.G., "The Media Effects Approach", 1991;

> Knutsen & S. Kumlin, O., "Value Orientaton an Party Choice", 2005;

> Krippendorff, K., "Content analysis an introduction to its Methodology", 1980;

> Marx, K. & Engels, F., “The German ideology”, 1970;

> Mclellan, D., Ideology (Concepts Social Thought), 1995;

> Michaelson, D. & Griffin, T., "A New Model for Media Content Analysis", 2005;

> Noel, A. & Therien, J., "Left and Right in Global Politics", 2008;

> Reese, S. D., "The Framing Project: A bridgin Model for Media Research Revisited", 2007;

> Reporters Without Borders report, 2019;

> Tankard, J, W., "Communication Theories: Origins, Methods and Uses in the Mass Media", 2001;

> Wolf, N., “The Beauty Myth”, 1995.